645/1971/3

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

აგვისტო
№ 8 1971 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვულოცავთ!

ამ ცოტა ხნის წინ, ქართველმა საზოგადოებრიობამ დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის გამგის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლის, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ქსენია სიხარულიძის დაბადების მე-60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის მე-40 წლისთავი.

ქსენია სიხარულიძე ჯერ სრულიად ახალგაზრდა მიჰყვა გულის მოწოდებას და აგერ, ოთხი ათეული წელია, რაც დიდი გატაცებით მიიკვლევს გზას მშობელი ხალხის სიბრძნის წიაღისეულისაკენ, მზის სინათლეზე ამოაქვს და მსოფლიოს აცნობს მრავალ თვალშეუდგამ განძეულს.

სადღეისოდ პატივცემული ქსენია 184 ნაშრომის ავტორია, აქედან 21 ცალკე წიგნადაა გამოცემული. ასეთებია: „ქართული ხალხური ზღაპრების კრებული“ (თარგმნილია უნგრულ ენაზე), „საბავშვო ფოლკლორი“, „ქართული საგმირო-საისტორიო სიტყვიერება“, „ქართული ხალხური სიტყვიერების ქრესტომათია“, „ხალხური სიბრძნის“ ხუთტომეულის მეოთხე ტომი, რომელშიც წარმოდგენილია ქართული ხალხური პოეზიის საუკეთესო ნიმუშები და სხვა. მეცნიერმა ქალმა ღრმად შეისწავლა ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედების საკითხები, რაც აისახა მის ნაშრომებში „ქართველი მწერლები და ხალხური შემოქმედება“. ქსენია სიხარულიძემ გერმანულ ენაზე გამოსაცემად მოამზადა „ქართული ხალხური პოეზია“, ხოლო მისი მოხსენება — „საგმირო პოეზიის ტრადიცია საქართველოში“, წაკითხული 1963 წელს საერთაშორისო კონგრესზე ქ. ბუდაპეშტში, გამოქვეყნდა რუსულ, უნგრულ და ინგლისურ ენებზე.

ასეთივე დიდი გულმხურვალებით შრომობს იგი, როგორც პედაგოგი, და ქართული კულტურის სიყვარულით ზრდის და აფრთიანებს თაობებს. მისი ხელმძღვანელობით გაიზარდა და დავაჟკაცდა არამარტო ეროვნული კადრები, არამედ მოძმე რესპუბლიკებიდან და უცხოეთიდან ჩამოსული ბევრი ახალგაზრდა.

ქსენია სიხარულიძე ხშირი სტუმარია საერთაშორისო კონგრესებისა, სადაც გამოდის საინტერესო მოხსენებებით და მსოფლიოს აცნობს ჩვენი ხალხის დიდ კულტურულ მემკვიდრეობას.

აღსანიშნავია ქსენია სიხარულიძის დიდი საზოგადოებრივი მოღვაწეობა. იგი წევრია უცხოეთის თუ საქართველოს რამდენიმე საზოგადოებისა. მიღებული აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციის მუშაკები და სარედაქციო კოლეგია გულით ვულოცავთ სახელოვან მეცნიერს, საქართველოს ქალთა ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის უცვლელ წევრს, ჩვენს თანამოღვაწესა და ძვირფას მეგობარს ქსენია სიხარულიძეს ამ დიდ დღეობას და ვუსურვებთ კიდევ და კიდევ მრავალ შემოქმედებით წარმატებას, მრავალი წლის ბედნიერ სიცოცხლეს.

ნომრის ფოტოები დავით იაკობაშვილისა

„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

1971/3
ეროვნული ბიბლიოთეკა



თამარ მჭედლიშვილი

# მეჭარხლე

...სამარიამობოდ თამარს ჭრელი კაბა და წვეტიანი წაღები უყიდეს. სიხარულით ცას ეწია გოგო. როგორც კი შინ მარტოს დაიგულებდა თავს, გადმოიღებდა წითელყვარდებიან კაბას და მკერდზე იფარებდა, წვეტიან წაღებშიც ჩაყოფდა ფეხებს და ცეკვა-ცეკვით კარაპანს შემოუვლიდა.

— თამრო, თამრო!.. — დაუძახებდა ბოსტნიდან ბებია და ისიც სწრაფად გაიძრობდა წაღებს, კაბის ბოლოთი ძირებს გაუწმენდდა, ახალ კაბასაც ფრთხილად დაკეცავდა და ძველ კიდობანში ჩაალაგებდა. მერე სირბილით ბოსტნისაკენ დაეშვებოდა.

— სადა, ხარ შვილო, ამდენ ხანს! — წყრომით ეტყოდა მოხუცი, — ბებერი ძვლები დამელალა, აილე ვედრო და ახლა შენ მორწყე, — და თამროც სიმღერით შეუყვებოდა მწკრივებს.

— ბებო!

— რა იყო, შვილო?

— მარიამობამდე რამდენი დღე დარჩა?

— სამი კვირა და სამი დღე.

— უჰ, რა დიდი დროა...

— აი, შე ეშმაკო, შენა, — ღიმილით ეტყოდა ბებია, — მჭედლიაანთ რეზოს ელოდები, არა!

— ვინ მჭედლიაანთ რეზოს, რას ამბობ! — დაიმორცხვებდა ქალიშვილი და ბებიას მუხლებზე შემოეხვეოდა.

...მოვიდოდა ის სანატრელი დღე — მარიამობა. სოფლის ბოლოს დიდი მუხის ქვეშ ტაშ-ფანდური გაიმართებოდა. დათიკაანთ მიხო შინიდან ვედროს გამოარბენინებდა და მთელი გამეტებით ურტყამდა. წრეში წითელყვარდებიანი ქალიშვილი დაჰქროდა და გული გამალებით უცემდა; თვალებდახრილი, ნარნარით დაცურავდა, ზოგჯერ გვერდით ლაღად მოსრიალე ჭაბუკს გადახედავდა, თითქოს ანიშნებდა: სიმამაცე და ერთგულება, ვაჟკაცობა და ძალა მაჩვენეო. და მჭედლიაანთ რეზოც თავს არ იზოგავდა, რომ ტოლ-ბიჭებში პირველობა ეჩვენებინა თეძმისხეველ თამროსათვის მოლხენასა თუ შრომაში.

ბიჭს უნდოდა დროზე მიეყვანა თამრო შინ. მაგრამ თქმას ვერ უბედავდა. სახლი არ ჰქონდა და კარი, მოხუცი მშობლებიც მის კისერზე იყვნენ. როგორც იქნა გაუმჟღავნა ხვაშიადი გულის სწორს და როცა მისგან

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ციალა არდაშელია

# [illegible]

მოთხრობა

მხატვარი ინა პელიძ

...დაცხა. კოსტიუმი გაიძრო და მხარზე გადაიგდო. მერე ჩამქრალი პაპიროსი ურნისაკენ მოისროლა და ჩამომდგარ ავტობუსს ზანტად შეავლო თვალი. „მეორით წავალ"! — გაიფიქრა და ერთბაშად გოგოს მზერა დაიჭირა. მაგრამ გოგომ სწრაფად მიაბრუნა სახე და ავტობუსისკენ გაიქცა.

უკვე დაძრულ ავტობუსს შეახტა, თვალით მოძებნა ქერათმიანი, მაღალი გოგო, არ მოუხედავს, მაგრამ შეატყო, რომ მან იგრძნო ბიჭის მოახლოება; დაკვირვებით შეათვალიერა: ფუშფუშა, ქერა თმა მხრებზე ჩამოშლოდა, პატარა ცხვირი ჰქონდა და სავსე, წითელი ტუჩები, შავად შეღებილ წამწამებში ლურჯი თვალები მინაბულიყვნენ; თუმცა ცალი თვალის ჭრილს ხედავდა და მაინც ამჩნევდა, რომ ისევ ის ეშმაკური, გამომწვევი ღიმილი იდგა მათში.

მზერა ახლა მის დაქანებულ, შიშველ მხრებს ჩააყოლა. მოუნდა, მკლავზე შეევლო ხელი. სულ ახლოს იდგა გოგო. მხრის თავი ხანდახან ეხებოდა ხოლმე ბიჭის ზურგს, ბეჭებს. უკან არ იხედებოდა, მაგრამ გურამი ამჩნევდა, რომ გოგოც დაძაბული უთვალთვალებდა ბიჭს, მის ყოველ მოძრაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვერდით ანაზდად ადგილი გათავისუფლდა. გურამმა წამსვე ისარგებლა ამით: გოგოს ფრთხილად შეავლო მკლავზე ხელი „რა გრილი აქვს მკლავი!“ — სასიამოვნოდ გაჰკრა გულში.

— დაბრძანდით, ქალიშვილო. — და გოგოს ყურისკენ ისე ახლოს დაიხარა, რომ სახეში თმის ბულულებმა შეუღიტინეს.

ახლა კი ამოხედა გოგომ, თვალებში მართლა უკრთოდა ღიმილი, თუმცა სახე სერიოზული ჰქონდა.

— გმადლობთ. მალე ჩავდივარ, — თეთრი, ქათქათა კბილები გამოაჩინა წამით და მერე ისევ მიაბრუნა სახე.

— მეც მალე ჩავდივარ. როგორი დამთხვევაა!

გოგომ ტუჩები მჭიდროდ მოკუმა, ალბათ, ღიმილი რომ შეეკავებინა.

გურამი კვლავ დაიხარა გოგოსკენ და ხმადაბლა ჩაულაპარაკა:

— ვატყობ, ჩვენ ერთი გზა გვაქვს, — „ჯერ არ მიუღია „ზაგარი“, ეტყობა, ახალჩამოსულია“.

— თქვენ მასე გგონიათ? — სწრაფად ამოხედა ბიჭს მოჭუტული თვალებით.

„აჰა, დაცინვაზე გადავედით? ვნახოთ, ძვირფასო...“

— დარწმუნებული ვარ.

ჩამოსვლისას კვლავ ხელი მოჰკიდა მკლავზე, მერე გვერდზე გაჰყვა. გოგო შეეცადა გაეთავისუფლებინა მკლავი, მაგრამ ბიჭი ალერსიანი სიჯიუტით უფრო უჭერდა ხელს.

— ხომ გითხარით, ერთი გზა გვაქვს-მეთქი. და საერთოდ, იცით, რა ძალიან მეცნობით. სადღაც ნანახი მყავხართ.

გოგომ უცებ გადაიკისკისა, მერე მოცინარი თვალებით შეხედა ბიჭს და გაგრძელებით წარმოთქვა:

— როგორ გეტყობათ, რომ ცრუობთ.

— მე და სიცრუე? — თეატრალურად გაიკვირვა ბიჭმა. „მიდი, მიდი, გურამ. ჩიტი ბადეში ებმება...“ — წააქეზა გუნებაში თავისი თავი.

— ოჰ, ოჰ, რა ხართ... თქვენ!.. — თითი დაუქნია გოგომ, თუმცა თვალები ისევ ისე უცინოდა.

„რა აცინებს ამ უპატრონოს!“

— ვინ ჩვენ? — ჩაეძია გურამი და სახე მოექუფრა.

— აი, თქვენ... კავკასიელები... — ოდნავ აირია გოგო, როცა ბიჭის სახეს შეხედა.

— კავკასია ფართო მცნება გახლავთ, გენაცვალე.

— ოჰ, უკვე გეწყინათ. რა ბუტია ყოფილხართ. მაპატიეთ, მაგრამ იცით, ცოტას მოვიკოჭლებ გეოგრაფიაში, სკოლაში სამიანი მქონდა.

— გეტყობათ.

გოგომ კვლავ გაიცინა.

— ენამწარეც ყოფილხართ.

ბიჭმა არაფერი უპასუხა და ისევ გოგომ წამოიწყო.

— მაშ, გამოდის, რომ თქვენ ქართველი არა ხართ?

— ქართველი გახლავართ, მაგრამ კავკასიაში ქართველების გარდა სხვებიც ცხოვრობენ. ამას მაინცდამაინც გეოგრაფიის დიდი ცოდნა არ სჭირდება, — ერთობ თავაზიანი კილო ჰქონდა გურამს, სახეც სერიოზული, ხელიც კი შეუშვა მკლავზე გოგოს.

— გასაგებია! ხომ შეიძლება უცოდინარობა აპატიოთ ადამიანს?

— რასაკვირველია, — გაეცინა გურამს გოგოს შეშფოთებაზე, — ჩვენში იტყვიან, არცოდნა არცოდვააო.

„მეტისმეტად შეუთითხნია წარბები და წამწამები. მაინც ღმერთივით გოგოა, რა ტუჩები აქვს!..“

— მაშ თქვენ ამბობთ, რომ გეცნობით, არა? — დაუბრუნდა გოგო შეწყვეტილ საუბარს, — და თან ამტკიცებთ, რომ ტყუილს არ ლაპარაკობთ?

— დიახ, ნამდვილად.

— მე კი გუშინ საღამოს ჩამოვედი თქვენს ქალაქში. ასე რომ, არც ნანახი მეყოლებით, ხომ მართალია? — ტუჩები შეკავებული სიცილისაგან უთრთოდა.

— მაგრამ თქვენ ერთი რამ გამოგრჩათ მხედველობიდან, ჩემო კარგო, — დინჯად და დაბეჯითებით დაიწყო გურამმა, თან თვალს არ აცილებდა გოგოს სახეს: — ადამიანი შეიძლება დაგესიზმროთ, ან იგი თქვენს წარმოსახვაში არსებობდეს. და აი, როგორც კი დაინახავთ მას, იმწუთშივე ცნობთ.

„ყოვლად ტრივიალურ, ბანალურ სისულელეებს ვჩმახავ და მაინც მიზანს აღწევს მგონია... ო, ქალებო, ქალებო...“

— აი, მეც დაგინახეთ და მაშინვე გიცანით. რა გქვიათ?

— გამოიცანით. თუკი წარმოსახვაში გყავდით ნანახი, სახელიც გეცოდინებათ.

— მარჩიელობა არ მიყვარს.

— ოჰ, თქვენ ძალიან ამაყი ხართ. იქ, გაჩერებაზეც რომ იდექით, ვერავის ამჩნევდით.

„და, მაშინ შენ გაბრაზდი და გადაწყვიტე, როგორმე მიგეპყრო ჩემი ყურადღება და აი ეწიე კიდეც საწადელს... მაგრამ იქ, გაჩერებაზე რას ვფიქრობდი? მართლა არ შემიმჩნევია... ჰო, გუჯაზე ვიყავი გაბრაზებული. აკვიატება იცის უშნოდ... ის თუ სუფრა იყოო, აიჩემა...“

— აი, თქვენ ახლაც ჩაფიქრდით.

მყისვე გამოერკვა. გოგოს მკლავი მჭიდროდ მიიკრა გვერდზე, თვალებში ჩახედა:

— არ შეიძლება ასეთი ლამაზი გოგონა ვერ შეამჩნიო. საერთოდ გამოთიშული ვიყავი იმ წუთას... მოდით, შევიდეთ ამ კაფეში, ცოტა მომწყურდა. მშია კიდეც.

— ოი, არა, არა... — შეიცხადა გოგომ, მაგრამ ბიჭი ისეთი თვალებით უყურებდა, რომ მერე, თუმცა ყოყმანით, მაინც დაყვა მის ნებას.

...ინგა (უკვე სახელი იცოდა მისი) ჯერ მორცხვობდა, მერე თანდათან გათამამდა „კარგა გვარიანად შიებია... რამხელა უარზე კი იყო“, — გაიფიქრა უნებურად, როცა დაინახა, რა სწრაფად მოასუფთავა გოგომ თეფში. ღვინოზეც თავდაპირველად მტკიცე უარი განაცხადა, მერე კი ნელ-ნელა შეუდგა წრუპვას. ლოყები აეტკიცა. თვალები აუციმციმდა.

„დიდებული გოგოა და... ძალიან მაღელვებს!“

— ძალიან მომწონხართ, ინგა!

გოგომ სავსე ტუჩები გაბუტა, თუმცა თვალები ისევ ისე უცინოდა.

— თქვენ ისევ ცრუობთ, გურამ.

— ძალიან მომწონხართ, ნამდვილად, — დაჟინებით გაიმეორა გურამმა და თვალებში მიაჩერდა. გოგო აირია, წამწამები აუხამხამდა. მერე ჭიქას მიწვდა, ტუჩებთან მიიტანა, ცოტა მოსვა, მერე ისევ დადგა.

ვაჟმა ხელი დაადო ხელზე.

— თქვენ?

გოგო გაიტვრინა. მერე ზღვასავით აბიბინებული თვალები შეანათა ბიჭს.

„გაბმულხარ, ჩიტო მახეში“!

— იცით, ჩემს საქმროს რომ ესმოდეს ეს...

გურამს წარბიც არ შეხრია გოგოს სიტყვაზე.

— ეჭვიანი საქმრო გყავთ? — თითქოს აქ არაფერიაო, გულგრილი ხმით იკითხა.

— იცით... საერთოდ, პრინციპში... ეჭვიანი არ არის, მაგრამ... ხანდახან...

— ჩამორჩენილი ადამიანი ყოფილა თქვენი საქმრო. — უცებ მოჭრა გურამმა და სკამზე გასწორდა. — რა დროს ეჭვიანობაა. მეოცე საუკუნეში ვცხოვრობთ. პირიქით, უნდა სიამოვნებდეს კიდეც, რომ მისი საცოლე სხვებსაც მოსწონთ. ხომ მართალია?

გოგოს თვალები უჟუჟუნებდა.

— პრინციპში, მართალია, ცხადია... მაგრამ...

— არავითარი მაგრამ. — გურამი წამოდგა, — ერთი წუთით, ინგა, მაპატიეთ, მე ახლავე, — შესაგებებლად წამოსულ ოფიციანტ ქალს ჰკითხა, — აქ თქვენთან, მგონი, ტელეფონი არის?

— მიბრძანდით დირექტორის კაბინეტში. არავინაა ახლა.

— გმადლობთ. ერთი წუთით, ინგა... უკაცრავად ვარ...

— არა უშავს, არა უშავს... — ინგა ისევ ისე იღიმებოდა.

გურამი დირექტორის ოთახში შევიდა, კარი მჭიდროდ მოხურა და ნომერი აკრიფა.

— გისმენთ! — მოესმა ნაცნობი ხმა ყურმილში, წამით შეყოყმანდა.

— ალო, ალო, გისმენთ...

ეროვნული ბიბლიოთეკა



— მე ვარ.

— ოჰ, გურამ, შენა ხარ? — გოგომ გაიცინა, — საიდან რეკავ? ქუჩიდან? ხომ მოდიხარ? მე უკვე ვიცვამ.

გურამმა ხმას საიდუმლო და ღრმააზროვანი კილო მისცა:

— მარიკა, მაპატიე, გენაცვალე. ვერ მოვდივარ.

— რა... რა იყო? — გოგონას ხმა გაებზარა.

— აქედან ვერ გეტყვი. სხვა დროს წავიდეთ გემის დასათვალიერებლად. მაპატიე, ფისო, მაგრამ ისეთი საქმეა...

— რა არის ისეთი?.. შენ სულ მასე ხარ!.. მიზეზი არ დაგელევა... ალბათ, დასალევად მიდიხარ სადმე... აი გიამ „ორერას“ ბილეთები მოიტანა და შენი გულისთვის უარი ვუთხარი...

— თუ ასე გული გწყდება, შეგიძლია წაყვე გიას. მე მგონი, ჯერ გვიან არ არის.

— თუ ღმერთი გწამს, ნუ იკბინები.

— რა შუაშია კბენა? ისე, მეც შემეძლო „ორერაზე“ ბილეთი მეშოვნა, თუ ასე გულით გინდოდა. — უცებ ენაზე იკბინა: მარიკას რომ „ორერას“ კონცერტზე წასვლა უნდოდა, იცოდა, როგორ არა. ჰოდა, ახლა ინანა, ‘ნამეტანი შევტოპეო, — გაიფიქრა. — და საერთოდ, რა გააჭირე საქმე ამ შენი „ორერათი?“ გეგონება... სხვა არაფერი არსებობს. „ორერა“ თუ არა...

— გურამ, რა გაყვირებს... სირცხვილია...

— ჰო, კაი, კაი, ბოდიშს ვიხდი, ბატონო. — ხმას დაუწია გურამმა, — ხვალ ვიშოვნი ბილეთებს და წავიდეთ.

— ამ საღამოს უკანასკნელი კონცერტია.

— ჰოდა, წადი მერე, ვინ გიშლის? — კვლავ იფეთქა გურამმა, — კიდევ კარგი, გემზე არ წავედით. მაშინ ხომ ვერ წახვიდოდი კონცერტზე გიასთან ერთად? მადლობის მაგიერ მეჩხუბები კიდევ?

— გურამ... მე შენთან მინდოდა...

— არა უშავს. გიასთან არანაკლებ კარგად იგრძნობ თავს. იქნება უკეთაც.

ყურმილი გამეტებით დაახეთქა. სულ არ უნდოდა გაბრაზებულიყო და მაინც იგრძნო, რომ სიანჩხლემ გულზე მოუჭირა. „გაწყდა თქვენი სინსილა. თქვენ თვითონ არ იცით რა გინდათ და რა არა“. ხვდებოდა, რომ გაღმა ედავებოდა სადღაც.

„თუმცა რა მრჯის მეც. რაზე ვიშლი ნერვებს? რაც უნდა ის ქნას! მომაბეზრა თავი ამ ვითომდა ერთგულებით“.

ეს სიბრაზეც ხელს აძლევდა ახლა. დარბაზში შემობრუნდა, სახეზე მხიარულება აღბეჭდოდა.

ინგა იქ აღარ დაუხვდა. ცოტა გაუკვირდა.

„ალბათ, ტუალეტში გავიდაო“, — გაიფიქრა და მაგიდას მიუჯდა, სიგარეტი გააბოლა.

„გიამ ბილეთები მოიტანა!“ დიდი ამბავი. ბილეთები მოიტანა. ვინ შეეხვეწა? და საერთოდ რას ეტორღიალება ის ვაჟბატონი, ვერ გამიგია. ჰმ ვერ გამიგია. სანამ გემოზე არ მივბეგვავ, არ შეეშვება, უჰ, ვერ ვიტან ასეთ ტიპებს. ვითომ არაფერი, მამააბრამის ბატკანის იერი აქვს. სინამდვილეში კი, მარიკაც კაი აფერისტია. ვითომ უჩემოდ ფეხს არ ადგამს არსად. ვითომ სულ მე შემომციცინებს თვალებში... კარგები ხართ ყველანი. ხომ წავიდა ახლა გიასთან ერთად კონცერტზე? ეს სულ ერთია . „მე შენთან მინდოდა...“ — გამოაჯავრა მარიკას გუნებაში, — მაგრამ მეც კარგად ვუთხარი. არ ვჭამ მაგისთანებს. ესლა მაკლია ახლა. არ ვუნდივარ? მარიკასთანა გოგოებს დღეში ათს ვიშოვნი... მაგრამ სად არის ამდენხანს ჩემი მზეთუნახავი?“ — საათს დახედა.

კარგა ძალი დრო გასულიყო. რაღაცამ უსიამოდ გაჰკრა გულზე. რაღაც იაზრა. ოფიციანტი მოიხმო. გულგრილი სახით ფული გადაიხადა. მაგრამ რატომღაც მზერას ვერ უსწორებდა ქალს. მერე, როცა დგებოდა, უნებურად თვალით მოძებნა თავისი მეინახე.

— წავიდა. ალბათ, აღარ მოვა, — ჩუმად, თითქოს საიდუმლოდ ჩაულაპარაკა ოფიციანტმა და დახლისკენ გაბრუნდა.

გარეთ რომ გამოვიდა, ქურდულად მიიხედ-მოიხედა.

ქალების ყურადღებით მეტისმეტად გალაღებულს, ვერ წარმოედგინა, თუ ასეთ რამეს ქალი გაუბედავდა. გააცურეს და მერე როგორ? მაგრამ თვით ეს მარცხი როდი ჰკლავდა ისე, ოფიციანტი ქალისა და კაფეში მსხდომთა თვალში რომ სასაცილოდ გამოჩნდა, ეს ვერ მოენელებინა.

„თუ სადმე გადავაწყდი, მოვკლავ, აღარ ვაცოცხლებ!“ — სიშმაგისაგან სიგარეტის მთელი კოლოფი ხელში მოსრისა.

„მოვძებნი, მიწის გულში რომ ჩაძვრეს, მაინც მოვძებნი!“

შეეცადა გარეგნულად მშვიდი იერით გასცლოდა იქაურობას. ერთი წამით გაიფიქრა კიდეც, იქნებ განგებ დაიმალა და აი, საცაა გამოჩნდება კიდეცო.

სკვერში შევიდა და სანაპიროს ნელი ნაბიჯით დაუყვა. ბრაზი ახრჩობდა. „მთელი საათი ლაპარაკი რომ გავუბი მარიკას, ახია ჩემზე. ან საერთოდ რას ვურეკავდი. იდიოტი ვარ. კრეტინი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯიბეებში ხელჩაწყობილი მიაბიჯებდა სანაპიროზე, ზღვა მშვიდად ბიბინებდა ჯებირს მიღმა. წყნარი, გრილი ივნისის საღამო იყო. ზღვაური სასიამოვნოდ ელამუნებოდა სახეზე. სასეირნოდ გამოფენილი ხალხის ყრიამული იდგა. ნაცნობები ესალმებოდნენ. თვითონაც უქნევდა თავს მათ, მაგრამ მისი გონება და ფიქრი სულ სხვაგან ჰქროდა.

„ამათ რომ გაიგონ, რა მომივიდა!.. აქამდე მე დავცინოდი სხვებს, ახლა მე ამომიღებენ ნიშანში. მტერი ჩავარდა ამათ ყბაში! ის... ის ვერ გაბედავს თქმას. ვერც გამოჩნდება ქალაქში, შეიძლება... შეიძლება კი არა, აითესება კიდეც აქედან, მაგრამ ოფიციანტი! ეს ოხერი. ძაღლივით ყველა მიცნობს მაინც ამ დაწყევლილ ქალაქში. კაფეში ნაცნობი, მგონი, არავინ იჯდა. ძაან ცოტა ხალხი იყო საერთოდ, მაგრამ... ის ოფიციანტი! თვალებში ღიმილი ედგა. ალბათ, დამცინოდა გუნებაში, ცხადია, დამცინოდა, ნიშს მიგებდა, ესეც შენო, აბა რა გეგონაო. უხაროდა ნამდვილად! ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს, აბა! გაწყდა თქვენი სინსილა...“

— ჩქარა, გამოადგი ფეხი, კაცო! ვერ ხედავ, დაგვაგვიანდა, ჩემი სიკვდილი! არც შეგვიშვებენ, ალბათ, აწი.

— არ შეგვიშვებენ, აბა!

— არა, არ გაკადრებენ შენმა მზემ! მინისტრი მყავხარ, ხომ იცი.

— ქალო, ჩემი თავისთვის მე მინისტრიც ვარ და პრეზიდენტიც. დაიხსომე ეგ ერთხელ და სამუდამოდ!

— აბა, ჰე, დაიწყე ახლა შენებურად!

— რა გინდა, ქალო, რას გადამეკიდე? შენ თუ არ ნახე „ორერას“ კონცერტი, ამაღამ თავს დაიხოცავს ყველა, ხომ იცი...

გურამს ტუჩები მოეღრიცა: „ცოლ-ქმრული იდილია“, — გაიფიქრა გესლიანად და მოჭუტული თვალი გააყოლა ჯარისკაცული ნაბიჯებით მიმავალ, ტარანივით გამხდარ, შუახნის ქალსა და ჩამრგვალებულ, პატარა ტანის მამაკაცს, ძლივს რომ მიბაჯბაჯებდა ცოლის გვერდით, და თან ხშირ-ხშირად ცხვირსახოცს ისვამდა მელოტ თავზე.

„ორერას“ კონცერტი! მთელი ქალაქი გადარეულია. ერთმანეთის ფეხის ხმას არიან აყოლილი... მარიკაც... თუმცა, რატომ არა, მე თუ მომწონს, რატომ არ შეიძლება სხვასაც გულწრფელად მოსწონდეს. რატომ გვაქვს ტვინში ჩამჯდარი ჩვენი გემოვნების, ჩვენი „მეს“ განსაკუთრებულობა, მეორესთან უცილო უპირატესობა? აი ხომ დარწმუნებული ვიყავი, მარიკა უჩემოდ ფეხს არ გაადგამდა და... იქნება, არც გაუდგამს?“

წამით შეაჩერა ამ აზრმა, ადგილზე გაქვავდა. მერე ნერვიული სიჩქარით ჯიბეები მოიქექა, ორკაპიკიანს დაუწყო ძებნა. ვერ იპოვა.

„როცა გინდა, ასეა!“ — გუნებაში შეიკურთხა, მერე წყლის გამყიდველთან მივიდა, არც იმას აღმოაჩნდა ორკაპიკიანი. თავი შეიკავა, რომ არ გამოელანძღა უდანაშაულო კაცი. როგორც იქნა, კიოსკის გამყიდველთან გაუმართლა.

ყულაბაში ფულს რომ აგდებდა, შეამჩნია, ხელი უკანკალებდა. სანამ ზარი რეკავდა, მღელვარებისაგან სუნთქვა შეუწყდა.

დიდხანს არ იღებდნენ ყურმილს და გადაწყვიტა, შინ არავინ არის, მარიკა კონცერტზე წასულაო. მაინც ჯიუტად იდგა და ხელს არ უშვებდა ყურმილს. ბოლოს ვიღაცამ აიღო ყურმილი, და ნაცნობი ხმა გაისმა:

— გისმენთ!

ერთბაშად დამშვიდდა. იგრძნო, დაუბრუნდა წინანდელი თვითდაჯერება, სიამაყე, გოროზობა და შემწყნარებელი კილოც კი.

— არ წახვედი კონცერტზე?

— შენ.. შენ... — გოგონას ხმა შეუთრთოლდა, გაჩუმდა. ბიჭს მოეჩვენა, რომ იგი ტირილს იკავებდა.

— მარიკა, მაპატიე, გენაცვალე. აუტანელი ვიღაცა ვარ. ეგოისტი, დესპოტი. იცი, განგებ გავაკეთე, მინდოდა... გამომეცადე...

— რაო, რაო?

— კარგი, მაპატიე ახლა. შადრევანთან გელოდები, ჩამოდი.

— შენ... შენ თავს გაგივიდა. აღარ მსურს შენი ხმის გაგონებაც. შენ... შენნაირი გგონია ყველა, შენნაირი უსინდისო.

— ვიცი, ყველაფერი ეს შენზე უკეთ ვიცი. შადრევანთან გელოდები.

გოგონა ჩუმად იყო.

„მგონია, ტირის!“ — სიამოვნებით გაურბინა თავში.



— სხვა ჩემს ადგილას რომ იყოს, ვიცი, როგორც მოიქცეოდა... — დაიწყო გოგონამ შეგუბებული ხმით.

— მაგრამ შენ ხომ სხვა არა ხარ? შენ ჩემი პატარა, საყვარელი გოგო ხარ. და ეს შენც კარგად იცი...

— მე არაფერი არ ვიცი. არაფერი არ მჯერა შენი!

— კარგი. ამაზე მერე ვილაპარაკოთ. ახლა ხალხი ნერვიულობს რიგში, — მომღიმარე თვალი მიმოავლო გარშემო, — არავინ იდგა მის მეტი, — წავედი ახლა და დაგელოდები შადრევანთან.

გოგონა დუმდა.

— კარგი, ჩამოვალ. ჩავიცვამ და ჩამოვალ, საძაგელო.

ბიჭმა გაიღიმა.

— გელოდები. არ დაიგვიანო! — მერე ყურმილი დაჰკიდა, კმაყოფილი იერით სიგარეტი გააბოლა და ნელი ნაბიჯით გაემართა შადრევანისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების პროექტით გათვალისწინებულია 1975 წელს ჩაის ფოთლის წარმოება გადიდდეს 272 ათას ტონამდე. ვფიქრობთ, რომ ჩვენი მეჩაიეები აწონ-დაწონიან თავიანთ შესაძლებლობებს და აიღებენ კურსს იქითკენ, რომ მისცენ ქვეყანას 800 ათასი ტონა წედლეული. და თუ ისინი ამას მიაღწევენ, ასეთი რაოდენობის ჩაის ფოთლიდან შეიძლება დავამზადოთ 75 ათასი ტონა მზა ჩაი, რაც ძირითადად დააკმაყოფილებს საბჭოთა ხალხის მოთხოვნილებას“.

(ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვიდან სკკპ XXIV ყრილობაზე)

# ზემო-აკეთელი გმირი



ლამარა ჩხაიძე

დიდ ვალდებულებაზე ფიქრობენ დღეს საქართველოს მეჩაიეები. ყოველგვარი რეზერვების გამოყენებით მისცენ სამშობლოს რაც შეიძლება მეტი ჩაის ფოთოლი — ასეთია მათი ნება-სურვილი.

და ლანჩხუთის რაიონის ერთი მშვენიერი სოფლის — ზემოაკეთის კოლმეურნეობაშიც ეს საზრუნავი გასჩენიათ. ზემოაკეთელები ყოველ წელიწადს გადაჭარბებით ასრულებდნენ სახელმწიფო გეგმებს; და განა გასაკვირია, რომ ახალი, მეცხრე ხუთწლედის გეგმის შესასრულებლად გადახედეს თავიანთ რეზერვებს, აწონ-დაწონეს შესაძლებლობანი, გულდასმით შეისწავლეს იგი.

დღეს თანასოფლელებთან ერთად ჩაის პლანტაციაში დგას სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ლამარა ჩხაიძე.

ათი წელია ლამარა კოლმეურნეობაში მუშაობს. ამ ხნის მანძილზე მოკრეფილი აქვს 63.000 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი. მის მიერ მოკრეფილი ფოთლის გადამუშავებით ჩაის ფაბრიკამ ათი წლის მანძილზე გამოუშვა 17 ტონაზე მეტი მზა პროდუქცია.

ციფრები შესანიშნავად ლაპარაკობენ. აი, თუნდაც კიდევ ერთი მაგალითი:

გასულ ხუთწლედში ლამარა ჩხაიძეს გეგმით 17.500 კილოგრამი ჩაი უნდა მოეკრიფა. ეს მაჩვენებელი 38.636 კილოგრამამდე ავიდა. რაიმე განსაკუთრებული კი არაფერია მის ბიოგრაფიაში. იგი უბრალო, მშრომელ ოჯახში აღიზარდა. სამამულო ომში წასულმა მამამ ორი თვისა დატოვა. მამასთან ერთად წავიდნენ ფრონტზე ბიძები — ექვთიმე და ლუკა ჩხაიძეები. უფროსი ბიძა ექვთიმე სისხლდაცლილი დაბრუნდა ფრონტიდან და მალე გარდაიცვალა. მამა და უმცროსი ბიძა ლუკა აღარ დაბრუნებულან. მეოთხე კლასში იყო ლამარა, რომ დედა თავის მშობლიურ სოფელს, ზემოაკეთს დაუბრუნდა.

აქ მიიღეს განათლება ლამარამ და მისმა დამ თინამ, აქ დაიწყეს მუშაობა კოლმეურნეობაში.

თავდაპირველად ცხოვრება უჭირდათ, მაგრამ დღეს წელმაგარი ოჯახი აქვთ ჩხაიძეებს. შრომამ შეუქმნა დოვლათი და კეთილდღეობა, სოციალისტური შრომის გმირობაც თავდადებულმა შრომამ მოუტანა ლამარას 1965 წელს, როცა გეგმით გათვალისწინებული 2.000 კილოგრამი ჩაის ფოთლის ნაცვლად 6.300 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი მოკრიფა.

ახლა ცხარე დღეებია ზემოაკეთის კოლმეურნეობაში. პარტიის ყრილობისათვის მიცემულ დაპირებას მეჩაიეებმა ხორცი უნდა შეასხან. დიდი ვალდებულებები აქვთ რგოლებს, ბრიგადებს, ცალკეულ მკრეფავებს.

ლამარა ჩხაიძეს გადაწყვეტილი აქვს წელს ახალი ხუთწლედის მეორე წლის ანგარიშში იმუშაოს და გეგმიური 3.500 კილოგრამის ნაცვლად 7.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფოს.

დიდი ვალდებულებები იკისრეს მისი ბრიგადის წევრებმა. გაპიროვნებულ 18 ჰექტარ პლანტაციაში ისინი 105 ტონაზე მეტ ჩაის ხარისხოვან ფოთოლს მოკრეფენ 98 ტონის ნაცვლად.

ამას შესძლებენ ზემოაკეთელები, შეძლებენ იმიტომ, რომ წელი მაგარი აქვთ. მათი კოლმეურნეობა ერთ-ერთი მძლავრია რესპუბლიკაში. მე-8 ხუთწლედიც ვადაზე ადრე შეასრულეს კოლმეურნეებმა.

ზემოაკეთი ყოველმხრივ კეთილმოწყობილი სოფელია, აქაურ მკვიდრთ შექმნილი აქვთ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. სოფელში მუშაობს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, მაღალია ზემოაკეთელთა მატერიალური კეთილდღეობის დონე. ყველაფერი ეს შრომას უადვილებს კოლმეურნეებს.

ბარაქიანი ჩაის მოსავალია წელს სოფელში, ადამიანები მოსდებიან პლანტაციებს, უხვი მოსავლით კვლავ რომ ისახელონ თავი.

ივანე ჩხაიძე,
ზემოაკეთი.

## 18 აგვისტო სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღეა

# ბრძოლა ჰაერში

ვასილ ბონდარენკო,
საბჭოთა კავშირის გმირი.

ყოველთვის, როცა საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს მფრინავი ირინე ოსაძე უკრაინის დედაქალაქში ჩამოდის, აუცილებლად მოინახულებს ხოლმე თავისი ყოფილი ესკადრილიის მეთაურს, ერთგულ მეგობარს, საბჭოთა კავშირის გმირს ნადეჟდა ნიკიფორეს ასულ ფედუტენკოს. მისი ესკადრილია იმ სახელგანთქმულ მოპიკირე ბომბდამშენ პოლკს ეკუთვნოდა, რომელიც სამამულო ომის დროს ჩამოაყალიბა საბჭოთა კავშირის გმირმა მარინე მიხეილის ასულმა რასკოვამ.

და აი, ნადეჟდა ნიკიფორეს ასულთან ვიმყოფები, რათა დაწვრილებით გავიგო ესკადრილიის ერთ-ერთი მფრინავის, ლუბა მიხეილის ასულ გუბინას ტრაგიკული ბედის შესახებ. კმაყოფილი ვარ, რომ მასთან ყოფნისას გავიცანი ირინე ოსაძე.

...1943 წლის აპრილში ლუბა გუბინა მარინე რასკოვას სახელობის ბომბდამშენ პოლკში მოვიდა. იგი ესკადრილიის ავიაჯგუფის მეთაურად დანიშნეს. თვით ესკადრილიის მეთაური კი გვარდიის კაპიტანი ნადეჟდა ფედუტენკო იყო. გუბინას ავიაჯგუფში იმყოფებოდა ირინე ოსაძე.

აი, რა მიამბო ნადეჟდა ნიკიფორეს ასულმა ლუბას შესახებ:

— ლუბა ენერგიული, მამაცი ქალიშვილი იყო. გარეგნულად ყოველთვის მოხდენილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოიყურებოდა. ეცვა მზისგან გახუნებული, მაგრამ მუდამ გატკიცინებული გიმნასტურა გაქათქათებული თეთრი საყელოთი. არაჩვეულებრივად მიზანდასახულს და სიცოცხლით სავსეს, გულმხურვალედ უყვარდა ხალხი და ცხოვრება. ერთი სიტყვით, ის შესანიშნავი მფრინავი იყო, მოაზროვნე და განათლებული მეთაური. ლუბა ფრინავდა ყოველგვარ ამინდში და ყოველგვარ პირობებში. მას შეეძლო, როგორც ამბობენ, ცეცხლსა და წყალში შესვლა. ყოველთვის მიისწრაფოდა, რაც შეიძლება მეტი საბრძოლო გაფრენა მოეხდინა. მაგრამ, სამწუხაროდ, არ დასცალდა. ოცდასამჯერ გამარჯვებული დაბრუნდა ლუბა თავის აეროდრომზე, მაგრამ ოცდამეოთხედ ველარ დაბრუნდა.

— ეს მოხდა 1943 წლის 18 ოქტომბერს, — განაგრძობს ნადეჟდა ნიკიფორის ასული, — ჩვენი ჯარები მაშინ სმოლენსკის ოლქის რაიონული ცენტრისთვის — პოჩინოკისთვის იბრძოდნენ. ბრძანება ასეთი იყო: ქვეითი ნაწილების იერიშამდე ჩვენ საჰაერო დარტყმა უნდა მიგვეყენებინა მტრის საარტილერიო პოზიციებისათვის.

რამდენიმე წუთში ჰაერში ვიყავით. ტრადიციული წრე შემოვხაზეთ აეროდრომზე და კურსი დასახული მიზნისაკენ ავიღეთ. ჩვენ ჯგუფს გვერდით გამანადგურებელთა ესკორტი მოყვებოდა.

ფრონტის ხაზს მივუახლოვდით. სიმაღლე სამიათასი მეტრი იყო. ფაშისტები ცდილობდნენ, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ, არ მივეშვით თავიანთ ობიექტებამდე და შეექმნათ ცეცხლის ღობე. მაგრამ ჩვენ განვაგრძობდით ფრენას ჩვენი კურსით და არ გვეგულებოდა რაიმე ძალა, რომელიც შეგვაჩერებდა.

უკან ვიხედები, ვხედავ ჩემს თანამებრძოლებს და გული სიამით მევსება. მივუახლოვდით ფაშისტთა პოზიციებს. ჰიტლერელ მეზენიტეთა ცეცხლი არ ცხრება. აფეთქებები სულ უფრო და უფრო უახლოვდება ლუბა გუბინას ჯგუფს. მალე ჯგუფის მეთაურის — ლუბა გუბინას ბომბდამშენის ერთი ძრავა წყობიდან გამოვიდა. მაგრამ ლუბას მიჰყავდა თავისი „პე-2" დასახული მიზნისაკენ. მას შეეძლო, რა თქმა უნდა, ჩაეყარა თავისი ტვირთი მტრის ტერიტორიაზე და დაბრუნებულიყო აეროდრომზე. ამისთვის არავინ არაფერს არ ეტყოდა. პირიქით, გუბინა ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო. მაგრამ ასეთი არ იყო ჩვენი ლუბა. მას ამოქმედებდა მიზანი — არ ჩამორჩენოდა თავის ჯგუფს, მიეყვანა დაზიანებული მანქანა ბოლომდე და რადაც არ უნდა დაჯდომოდა, შეესრულებინა საბრძოლო დავალება.

ესკადრილიის შტურმანმა ტონია ზუბკოვამ გვაცნობა მიზანთან მიახლოვება და მოითხოვა საბრძოლო კურსის მკაცრად დაცვა. მე შტურვალთან ვარ, ვიცავ კურსს, სიმაღლეს, სიჩქარეს, რომ ზუსტად გადავლახო ფაშისტების ცეცხლი და პირიქით მივაყენო დარტყმა. ვხედავ, როგორ მწყობრად ცვივა ყუმბარები გერმანელთა საარტილერიო პოზიციებზე. მიმყავს ჩემი ჯგუფი კიდევ უფრო წინ, რომ მოვახერხო თავისუფლად მობრუნება გერმანელ მეზენიტეთა ცეცხლის მიღმა, მივცე ლუბა გუბინას ჯგუფს ესკადრილიის სხვა თვითმფრინავების ახლოს გამაგრების საშუალება (მითუმეტეს, რომ ლუბას თვითმფრინავი მეორედ დაზიანდა), ხოლო ფაშისტთა გამანადგურებლების თავდასხმის შემთხვევაში მოვახერხოთ გუბინას მანქანის დაცვა მთელი ჩვენი ჯგუფის ცეცხლით. სამწუხაროდ, ჩვენმა მფრინავებმა, რომლებიც ჩვენს უკან მოფრინავდნენ, ჩემი მანევრი ვერ გაიგეს, დიდი სიჩქარით დაგვეწიენ და გაგვისწრეს.

ჩემი ჯგუფის გოგონებმა იგრძნეს საშიშროება, მომიახლოვდნენ ისე, რომ მე ვხედავდი მათ ღიმილს. სადღაც უკან დარჩა პოჩინოკი. გადავიფრინეთ ფრონტის ხაზი. ახლა გვეჩვენებოდა, რომ ყველაფერი ნორმალურად ჩატარდა. მოვაბრუნე ჩემი მანქანა, რომ მარშრუტი გადამეჭრა ლეონიდოვოს მიმართულებით, სადაც ჩვენი აეროდრომი იმყოფებოდა, მოვიხედე უკან და გული გამიჩერდა: ლუბა გუბინას თვითმფრინავი სიმაღლეს და სიჩქარეს კარგავდა. ჩემი საწვავი მხოლოდ რამოდენიმე წუთის ფრენას ეყოფოდა. მანქანები ლუბას ჯგუფისაკენ რომ მიგვებრუნებინა, ჩვენს აეროდრომამდე ველარ მივაღწევდით.

ირინე ოსაძე და ანა იაზოვსკაია ერთი წუთით არ ტოვებდნენ მეთაურს, თავიანთი თვითმფრინავებით იფარავდნენ ლუბას დაზიანებულ მანქანას, და მეც გადავწყვიტე გამეზარდა სიჩქარე, რომ ლუბას სამეულის მოსვლამდე მომესწრო ძირს დაშვება ჩემი ესკორტით. იმედი მქონდა, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა, და როგორ ვნანობდი შემდეგ, რომ ასე მოვიქეცი.

ჩვენ ვერც კი მოვასწარით ძირს დაშვება, რომ ეთერიდან გავიგონეთ: ლუბა გუბინას ჯგუფს მოულოდნელად თავს დაესხა გერმანელთა 8 თვითმფრინავი. გერმანელმა მფრინავებმა ისარგებლეს ჩვენი გამანადგურებლების არყოფნით და საბჭოთა ბომბდამშენების მოსპობა განიზრახეს.

პირველი შეჯახებით ანა იაზოვსკაიას თვითმფრინავი დააზიანეს, მაგრამ 20 წლის ქალიშვილს თავი ნამდვილ გმირად ეჭირა. იგი განაგრძობდა ფაშისტებთან ბრძოლას და გუბინას თვითმფრინავსაც იფარავდა როგორც ცეცხლით, ასევე ბომბდამშენით. პირველ შეტაკებას მეორე მოყვა. გერმანელებმა მოახერხეს ჩვენი ბომბდამშენის კაბინის დაზიანება, რის შედეგადაც ანა იაზოვსკაია და მისი შტურმანი ლენა პონომარევა დაიღუპნენ.

ახლა ჰიტლერელებმა ირინე ოსაძის და ლუბა გუბინას თვითმფრინავებს შეუტიეს. ერთ-ერთმა ფაშისტმა მოახერხა ირინე ოსაძის კუდში მოქცევა და საბჭოთა თვითმფრინავის დაზიანება. ბომბდამშენს ცეცხლი გაუჩნდა. ირინე მაშინაც არ შემდრკალა, როცა ხელსა და სახეში დაიჭრა. ის აგრძელებდა მანქანის მართვას და არ ჩამოშორებია თანამებრძოლთა რიგებს, იგერიებდა ფაშისტთა გამანადგურებლების თავბრუდამხვევ იერიშებს და ცეცხლითა და საკუთარი სხეულით იფარავდა ლუბა გუბინას. მისი შტურმანი ვალია ვოლკოვა განუწყვეტელი ცეცხლით ცელავდა მტერს, სანამ ისიც თავსა და სახეში არ დაიჭრა და არ დადუმდა. ახლა გერმანელები ახლოს მივიდნენ ოსაძის დაზიანებულ ბომბდამშენთან და ყოველი მხრიდან დაუშინეს. მის თვითმფრინავს ცეცხლი გაუჩნდა. სუნთქვა სულ უფრო და უფრო გაძნელდა. ირინემ უბრძანა ეკიპაჟს დაეტოვებინათ მანქანა და გადამხტარიყვნენ.

ვალია ვოლკოვას მოძრაობა არ შეეძლო. ის მძიმედ იყო დაჭრილი. ირინემ მოახერხა ვოლკოვასთან ერთად თვითმფრინავიდან გადმოხტომა, უცბად გახსნა ჯერ ვალიას პარაშუტი, ხოლო შემდეგ თავისი...

ირინე ოსაძის და ანა იაზოვსკაიას თვითმფრინავების განადგურების შემდეგ, ჰიტლერელები ლუბა გუბინას მანქანას მიუბრუნდნენ. ლუბამ უბრძანა თავის შტურმანს კატია ბატუხტინას და მსროლელ რადისტს ვანია ომელჩენკოს მტრის შემოტევების მოგერიება. ლუბა ცდილობდა მტერს დასხლტომოდა — გადაერჩინა თვითმფრინავი და ეხსნა ეკიპაჟის წევრების სიცოცხლე. მაგრამ ეს ძნელი შეიქმნა. მანქანის ერთი ძრავა წყობიდან იყო გამოსული, მეორე — ძლივს მუშაობდა. მანქანა დაბლა-დაბლა ეშვებოდა. ფაშისტები კი მხეცურად ბომბავდნენ. ერთ-ერთი შეტევის დროს წყობიდან გამოვიდა სამართავი სისტემა. თვითმფრინავი აღარ ემორჩილებოდა მეთაურს. სიმაღლე თანდათან მცირდებოდა. ლუბამ უბრძანა ეკიპაჟს დაუყოვნებლივ დაეტოვებინათ ბომბდამშენი და გადამხტარიყვნენ.

პირველად მსროლელი-რადისტი ომელჩენკო. გადახტა, შემდეგ — კატია ბატუხტინა, მაგრამ მისი პარაშუტის ზურგჩანთა გამოედო ტყვიამფრქვევის ტურელს და ქალიშვილი უმწეოდ გამოეკიდა ჰაერში... ეს შეამჩნია ლუბამ. რა უნდა ექნა? თვად რომ გადამხტარიყო, მეგობარი დაიღუპებოდა, ის რომ გადაერჩინა, თავის თავს ველარ უშველიდა.

ლუბა ჩაეჭიდა შტურვალს და მძლავრად გააქანა მანქანა დაზიანებული ძრავის მიმართულებით. კატიას პარაშუტის ზურგჩანთა მოწყდა ტურელს და იგი მშვიდობიანად ჩამოეკიდა პარაშუტის ბაგირზე.

პარაშუტით გადმოხტომა ლუბას აღარ შეეძლო, რადგანაც სიმაღლე არ ჰყოფნიდა. ეკიპაჟის სიცოცხლის გადასარჩენად მან შეგნებულად აირჩია სიკვდილი. იგი ისე დაიღუპა, როგორც იღუპებოდნენ ნამდვილი გმირები, მაგრამ სიცოცხლის ბოლო წუთებამდე რჩებოდნენ მეთაურად, ერთგულ მეგობრად, ადამიანად.

ლუბა გუბინა, ანა იაზოვსკაია და ლენა პონომარევა პატივით დაკრძალეს სმოლენსკის ოლქის სოფელ ივანკოვოს მახლობლად. მალე ამ სოფელს ლუბას ხსოვნის უკვდავსაყოფად გუბინო უწოდეს.



# ეგუავლებ!





გულაბი მსხლები ყვავის დროში. თეთრი ყვავილები მზეზე ფითქინებს. საძოვრებიდან არჯაკელისა და კობჩხილოს სურნელი მოაქვს ნიავს.

ვაშლებიც ყვავის და ვარდისფერ კვირტებს ფუტკრები დაბზუიან.

სოფლის ეკლესიის ჩამომზღვეულ კედელთან საფლავის ქვა დევს. მშვილდი და სატევარი უპყრია მეომარს: „გმირულად დავეცი და შენდობა მითხარითო". საფლავის ქვა დროს გადაურეცხავს. აღარც სახელია, არც გვარი. ესღა დარჩენილა — „შენდობა მითხარითო..."

•

თითქოს საგანგებოდ,

უცნობი მეომრის საფლავის ნიში სისაურთა სახლს გადაჰყურებს.

სისაურთა დედა სახლის წინ მზეს ეფიცხება. მეზობლის კაცი ცხვრებს უპარსავს და წმინდა მატყლის ბარაქა დგას სოხანეზე.

როგორ მობერებულა ნინო სისაური... ხმასაც ვერ იმორჩილებს.

— აბა, რა უნდა გითხრათ, შვილოო... ჩემი მიხა და სვიმონი ომში წაიყვანეს 41-ში.

დედა მოუკვდეთ! ერთხელ მიხას გავუჯავრდი... მეხვეწებოდა, სურათი გადავიღოთო.

ეგრე მითხრა: დედი, ნუ მიჯავრდები, თორემ იქნება დრო დადგეს, მოგენატროო.

ცრემლებმა მოუსწრეს ნინო სისაურს და სათქმელი მეზობელმა დაამთავრა:

ძმები კოლმეურნეობაში მუშაობდნენ. ყველა უყვარდათ და ყველას უყვარდათ. გერგილიანი ბიჭები იყვნენო.

წავიდნენ. სვიმონი სევასტოპოლთან იბრძოდა, მიხა — ქერჩთან.

ამ ქალაქებში დაეცა ორივე. ორი ჯარისკაცის საფლავი შეემატა მიწას.

არავის დაუდვია საფლავზე გათლილი ლოდი, მშვილდითა და სატევრით მოხატული. არც დაუწერიათ „შენდობა მითხარითო".

გავიდა წლები.

სისაურთა სახლის კერა დედამ არ ჩააქრო.

ორბეთში შინმოუსვლელთა სტენდზე იყიდის სვიმონი.

მიხას სურათი კი არ დარჩენილა.

სისაურთა სახლის წინ გულაბი მსხლები ყვავის.

ჩემმა ბიჭებმა დარგესო, — ცრემლიანი ხმით თქვა ნინო სისაურმა.

•

დრეს მეზობელი სოფელია შამთა.

ისე ახლოს არიან, გადაძახებაც შეიძლება.

შვიდი შვილის დედა ლიზიკო ოქრუაშვილი შემოგვეგება შამთაში. მამა-პაპური სახლის აივანზე შრებოდა სარეცხი, მეტ-ნაკლები ზომის შარვლები და კაბები.

ვანო, ენგული, ნელი, მანანა, მარინა, დარეჯანი და შალვა... უფროსი 22 წლისაა. ჯარშიც იყო. სიგელები ჩამოიტანა. დაბრუნდა და ბრიგადირად დანიშნეს კოლმეურნეობაში, ჭკვიანი და გამრჯე ბიჭიაო.

სულ უმცროსი ხუთი წლისაა. ომში დაკარგული ბიძის სახელი ჰქვია.

ენგული მანგლისის ჯაგრისების კომბინატში მუშაობს.

დანარჩენები სკოლაში დადიან და კარგი ნიშნებით ახარებენ დედის გულს.

•

თეთრიწყაროს რაიონის პატარა სოფლებია შამთა და დრე, მთის ძირში მიყუჟულნი, წყაროებიანი და საძოვრებიანი.

50 კერის კვამლი მიიწევს ცისკენ.

ამ სოფლებში ცხოვრობენ:

რვა შვილის დედა — სალომე ბექაური.

შვიდი შვილის დედა — მარო ქავთარაძე.

ხუთი ბიჭის დედა — ელენე ბექაური.

უნდა იმრავლონ ბექაურებმა, წიკლაურებმა, სისაურებმა! ეს მათთვის დარგო — ორმა გუგულივით ბიჭმა — გულაბი მსხლები, რომელთა ყვავილები თეთრად გამოფითქინდება გაზაფხულზე.

თინა ჩხაიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„რკინიგზის ტრანსპორტის განვითარებაში ძირითად მიმართულებად მივიჩნიოთ რკინიგზების გამტარუნარიანობისა და ზიდვაუნარიანობის გადიდება.

რკინიგზის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა გავადიდოთ დაახლოებით 22 პროცენტით. გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება რკინიგზის ტრანსპორტზე დაახლოებით 23 პროცენტით".

(სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან)



ბორჯომის რკინიგზის სადგური



1 აგვისტო
რკინიგზელის
საკავშირო
დღეა

# ეთილი მგზავრობა!

ღამეა...

მიჰქრის მატარებელი...

იმედიანად სხედან მგზავრები. არა აქვთ კატასტროფის შიში, რადგან შესანიშნავად იციან, რომ უსაფრთხო მგზავრობაზე ფიქრობს გამოცდილ რკინიგზელთა მთელი არმია — მემანქანეები, სადგურის მორიგეები, მეისრეები, ის ადამიანები, რომლებიც არ ერიდებიან უამინდობას, ადვილად იტანენ უძილობას, ყოველ წუთს მზად არიან მოულოდნელი საფრთხისაგან იხსნან მგზავრები.

აი, ერთ-ერთი მათგანი. ის 30 წელია ბორჯომის რკინიგზის სადგურის მორიგედ მუშაობს და ღიმილით ეგებება მგზავრებსა და დამსვენებლებს, რომლებიც ჩამოდიან ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

რკინიგზელის ფორმაში გამოწყობილ ვერა ნადირაშვილს რკინიგზელის ქუდიც მოხდენილად აქვს თავზე მორგებული. მას მუდამ ხელთ უპყრია ნიშნისმიმცემი, რომლითაც ვერამ სახელი მოიპოვა, უავარიოდ იმუშავა წლების მანძილზე, დაიმსახურა მრავალი ჯილდო და მადლობა...

— ბორჯომის რკინიგზის სადგურმა მეცხრე ხუთწლედის პირველი წლის პირველი კვარტლის გეგმა მაღალი მაჩვენებლებით შეასრულა. ამიერკავკასიის სამგზავრო სადგურებს შორის იგი გამარჯვებულად სცნეს და გარდამავალი წითელი დროშით დააჯილდოეს. ამ ჯილდოს მიღებაში მცირედი წვლილი ვერასაც მიუძღვის, — გვითხრა სადგურის უფროსმა ვაჟა ლომიძემ.

...ომის დროს ქალები საკაცო საქმეს ასრულებდნენ. ვერა ორ-სამ ცვლაში მუშაობდა. სიბნელეში რის ვაი-ვაგლახით ახერხებდა მატარებლების მიღება-გასტუმრებას. ხაზზე მხოლოდ რვა ვაგონი ეტეოდა, მას კი თვრამეტვაგონიანი მატარებლის შემადგენლობა უნდა განელაგებია, ჩამოეხსნა, გაეცალკევებინა...

აკვანი სამორიგეოში ედგა და იქ ზრდიდა ჩვილს. კოლეგები ხშირად „აყვედრიან", მარტო შენ ნუ იქადი კარგი ვაჟკაცის გაზრდას, მის მოვლაში ყველა ვლებულობდით მონაწილეობასო.

...მიჰქრის მატარებელი, წინ გზაა და თითქოს არა აქვს ამ გზას დასასრული. მაგრამ მატარებელი ბორჯომში უნდა შევიდეს. ვერას მეზობელი სადგურიდან აცნობეს. ვერა ხაზს ამზადებს, ისრებს სასურველ მიმართულებას აძლევს, ის ხომ რამოდენიმე წელია საუკეთესო მეისრედაც ითვლება.

შუქნიშანი მწვანედ ციმციმებს, ხაზი თავისუფალია, სადაცაა მატარებელი გამოჩნდება, ვერა ბაქანზე იმედიანი ნაბიჯებით მიდი-მოდის. სიგნალის მაჩვენებელი თეთრს უჩვენებს, მემანქანე ჩვეული ღიმილით ხელს უქნევს, ყველაფერი წესრიგშია...

...დაგ-დუგ, დაგ-დუგ, ხმაურობენ ბორბლები, მატარებელი თანდათან სიჩქარეს უმატებს, შუქნიშანი წითლად აინთო, ხაზი დაკავებულია, ვერა მეზობელ სადგურს აწვდის ცნობას.

ასე იღებს და აცილებს მატარებლებს, ისრის კალმებს მიმართულებას აძლევს ვერა ნადირაშვილი. გულში კი ერთს ფიქრობს: „ადამიანებო, კეთილი იყოს თქვენი მგზავრობა!".

ნანული არჩვაძე



# ელენე საყვარელიძე

მისაღებ ოთახში მისი მომღიმარი პორტრეტი შემომეგებება. იასამნისა და ზურმუხტის, მეწამულისა და ფირუზის ფერები უხვად დაღვრილან ტილოზე. ფერების სიმრავლით სურათის ავტორს (რესპ. დამსახ. მხატვარი რ. კეშელაშვილი) ალბათ ელენეს ხასიათის მრავალფეროვნება უნდოდა გადმოეცა.

სკოლაში ელენეს პერიოდული გატაცებები ჰქონდა: ერთხანს ლექსებს წერდა, ლიტერატურა იტაცებდა, მერე ქიმიით და ფიზიკით დაინტერესდა, სპორტს მისდევდა და მხატვრულ ტანვარჯიშში წარმატებაც მოიპოვა. ექიმობაზეც ოცნებობდა, ინჟინრობაზეც.

ამასობაში საშუალო სკოლა დაამთავრა. რა პროფესია უნდა აერჩია ისეთი, რომ ექიმიც ყოფილიყო, ინჟინერიც, სპორტსმენიც, ქიმიკოსიც... და იპოვა ასეთი პროფესია: თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტზე მოეწყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ელენე საყვარელიძე სოხუმის თეატრში იწყებს მუშაობას და იქიდან მახსოვს.

ან რა დამავიწყებს მის ჰრიჰინას (მ. ბარათაშვილის „ჰრიჰინა“), ისე ჰრიჰინებდა, ისე დახტოდა, ისე კისკისებდა! მერე როგორ ტიროდა (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დამნაშავე“) გულმოკლული სატრფოსა და უბედური დედის ბედზე!

როგორ მღეროდა ი. მოსაშვილის „[illegible]რულ ქვებში“!

რა ვნებიანად და მოხდენილად ცეკვავდა „არშინ მალ-ალანში“.

რა კეკლუცი იყო გოლდონის „სასტუმროს დიასახლისში“.

რა სათნო — ლოპე დე ვეგას „შეყვარებულ ასულში“!

რა ვაჟკაცური — გუსტა ფუჩიკოვას როლში!

გუსტას როლი მსახიობის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან მომენტად იქცა. შემდეგში ელენემ პირადი ნაცნობობა და კონტაქტები დაამყარა ჩეხეთის ეროვნული გმირის, იულიუს ფუჩიკის მეუღლესთან. პრაღაში ყოფნისას გუსტამ ელენეს ჩეხური „რეპორტაჟი სახრჩობელადან“ და იულიუსის მედალი მიუძღვნა. ამ მოგზაურობაზე ელენე წერს: „მავზოლეუმში, იულიუსის საფლავზე ერთი წითელი მიხაკი და წრფელი ცრემლები დავტოვე მისი ერთგული მეუღლისა და თანამებრძოლის — გუსტინას ორეულმა“.

ჩემი მზერა აქაც, რუსთაველის თეატრშიც არ შორდება საყვარელ მსახიობს.

გულს ბზარავდა ლამენათევი, ხმაჩახლეჩილი თამროს („გლახის ნაამბობი“) სიმღერა შებილწულ სიყვარულზე და არ მჯეროდა, რომ ეს ის ქალი იყო, რამდენიმე წუთის წინ დამფრთხალი შველივით რომ აფარებდა თავს პეპიას (აკ. ვასაძე).

ახლა ცაცანა (კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“), ეს მდაბიო და ჭორიკანა, ვირთხებზე მონადირე გრძელცხვირა შინაბერა. ამ როლის საუკეთესო შესრულებისათვის



თამრო — „გლახის ნაამბობი“

ცაცანა — „ეზოში ავი ძაღლია“.

ჰრიჰინა — „ჰრიჰინა“.

მელანო — „სამანიშვილის დედინაცვალი“.

ელენემ ამიერკავკასიის თეატრალურ გაზაფხულზე პირველი პრემია და საპატიო სიგელი მიიღო. ანდა ფუქსავატი და მოდებს აყოლილი ვიოლეტა ლ. სანიკიძის „ქუთათურებში“.

ლამაზი და ცბიერი მარგარიტა გ. ნახუცრიშვილის „ფიროსმანში“.

ანჩხლი კატო — ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში“.

ვერცხლისწყალივით ციმციმა გაიანე — „ღალატში“.

ჟენი (ბ. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“)— ბურჟუაზიულ სამყაროში სოციალური დაქვეითებისა და მორალური გადაგვარების ტიპიური წარმომადგენელი. როლის წარმატებით შესრულებაში ე. საყვარელიძეს ხელს უწყობდა სასიამოვნო ხმის ტემბრი და მეტყველი თვალები, რომლებიც ხან ვნებით იბინდებოდნენ, ხან შურისძიებით ციმციმებდნენ.

„ოიდიპოს მეფეში“ ელენე მხევალი ქალის როლს ასრულებდა. ცნობილმა რუსმა მსახიობმა ი. იურევმა ელენე აკაკი ხორავას გვერდით ტრაგიკოსთა სიაში შეიტანა. თუმცა ელენეს ასეთი მასშტაბის ტრაგიკოსობის პრეტენზია არა აქვს, — მაინც ამაყობს ამ ქათინაურით.

კარგია ელენე პიესაში „ვახშმობის წინ“.

ელენე საყვარელიძის ბოლო ნამუშევარი ისეთივე ქებას იმსახურებს, როგორც მთელი „სამანიშვილის დედინაცვალი“. ეს წარმოდგენა თეატრის დიდი შემოქმედებითი გამარჯვება იყო. ყველა პერსონაჟი იმდენად ზუსტი გარდასახვით გვევლინებოდა, რომ ვერც კი ვამჩნევდით პერსონაჟების თანამედროვე ჩაცმულობას. ამ საერთო წარმატებაში დიდი როლი მიუძღოდა ელენე საყვარელიძეს, რომელმაც პლატონის ცოლის — მელანოს განუმეორებელი სახე შექმნა. უენო, მართალი, ერთგული და მოსიყვარულე ქართველი ქალი. რამდენი რამის მთქმელია მისი ხან ცრემლიანი, ხან მომღიმარი, ხან დაბნეული თვალები, რომლებიც არასოდეს არ ტოვებენ პლატონს. როცა პლატონმა (გ. გეგეჭკორი) გადაწყვიტა ბეკინასათვის (ჩვენგან წასული დიდი მსახიობი — სერგო ზაქარიაძე) თავისი ჩანაფიქრი განეცხადებია, თვალებადქცეული მელანო მათ ხელს უშლიდა. ამ წუთიერ, უსიტყვო სცენას სამივე მსახიობი მაღალი ოსტატობით ატარებდა და გვიხატავდნენ დამოკიდებულებათა და მდგომარეობათა მთელ გამას.

ან, როცა კმაყოფილი მელანოს ეჭვი ეპარება დედამთილის ფეხმძიმეობაში, ხოლო პლატონი ხვდება და არც უნდა დაიჯეროს. ამ ორ უსიტყვო, ოსტატობით ჩატარებულ სცენას შეიძლება „თვალთა პაექრობა“ ეწოდო.

მოსახდენი მოხდა, დედინაცვალს ბიჭი შეეძინა. ყველა ულოცავდა ბეკინას, და ეს მოლოცვა მისამძიმრებას უფრო გავდა. მელანო ნელ-ნელა მიუახლოვდა ბეკინას და მკერდზე ეამბორა, თუმცა მისი თვალები არ შორდებოდა პლატონს და ამ თვალებში ვკითხულობდით წარმოდგენის დასასრულს, სამანიშვილების ოჯახის რღვევას.

ელენე საყვარელიძე ბევრ სასარგებლო საზოგადოებრივ შრომას ეწევა. იგი არის საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების ვიცე-პრეზიდენტი. და თუ უნგრელი სტუმრები საქართველოდან აღტაცებულნი წასულან, ამაში წვლილი აქვს „ვარსკვლავთვალებიან ელენეს“, როგორც მას უნგრელი ჟურნალისტი იანოშ რიგო უწოდებს.

ელენე არის საზოგადოება „ცოდნის“ საქალაქო განყოფილების პრეზიდიუმის წევრი და კულტურის სახალხო უნივერსიტეტის პრორექტორი. იგი არჩეული იყო რაიონული საბჭოს დეპუტატად და აქაც მოწოდების სიმაღლეზე იდგა. წელს ელენე თეატრალური ინსტიტუტის თეატრისმცოდნეობის ფაკულტეტს ამთავრებს. მისი წერილები ხშირად იბეჭდება ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში; მის კალამს რამოდენიმე თარგმანიც ეკუთვნის; იგი მონაწილეობს საქართველოს რადიოსა და სატელევიზიო დადგმებშიც.

ელენემ უნგრელ მწერალს და მთარგმნელს დეორდ რადოს გაუგზავნა მის მიერ ფირზე ჩაწერილი ქართული ენის გაკვეთილები და დიდად უხარია, რომ მადლიერი მწერლის წერილებში თანდათან მატულობს ქართული წინადადებები. ამჟამად ამ ჩანაწერებით სხვა ქართველოლოგებიც სარგებლობენ. 1966 წლის № 34 ჟურნალ „ფილმ, სინპაზ, მუზიკაში“ ელენე საყვარელიძეზე ვრცელი სტატიაა მოთავსებული ასეთი სათაურით: „მსახიობი, რომელიც ასწავლის ქართულ ენას უნგრელ მთარგმნელებს“.

აი, ასეთია იგი, — ჩვენი სადა და მაინც მრავალფეროვანი მსახიობი ქალი.

მერი აბაშიძე







# ბორის ძნელაძე

დაბადების 70 წლისთავის გამო

საქართველოში ცოტა როდია ისეთი სახელები, რომლებიც ოქროს ასოებით არის ჩაწერილი რევოლუციური ბრძოლების ისტორიაში, სახელები დიდი რევოლუციონერებისა, რომელთაც მთელი თავისი ლამაზი სიცოცხლე და მგზნებარე გული უანგაროდ, გულწრფელად და მთელი შეგნებით მიიტანეს მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის ბრძოლის სამსხვერპლოზე.

ასეთ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის ლენინის პარტიის ერთგული შვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ერთ-ერთი ფუძემდებელი და ორგანიზატორი, მუშათა კლასის უფლებებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ბორის ძნელაძე. მან სულ 23 წელი იცოცხლა, მაგრამ თავისი ეს ხანმოკლე სიცოცხლე გაატარა, როგორც უაღრესად პრინციპულმა და კრისტალური სიწმინდის ბოლშევიკმა და დიდმა ინტერნაციონალისტმა.

ბორის ძნელაძის სახელთან არის დაკავშირებული საქართველოში ახალგაზრდობის პირველი კომუნისტური ორგანიზაციის — „სპარტაკის" დაარსება 1917 წლის 3 სექტემბერს.

ბორის ძნელაძემ თავისი ცხოვრების მთავარ მიზნად კომუნისტური იდეებისათვის სამსახური დაისახა და მათი განხორციელებისათვის იღწვოდა, ამიტომ მენშევიკებისაგან დაუსრულებელ დევნას განიცდიდა. 1919 წლის ოქტომბრიდან 1920 წლის აგვისტომდე იგი ხუთჯერ დააპატიმრეს და გადაასახლეს. დაძაბულმა შრომამ კომუნისტური ახალგაზრდობის დასარაზმავად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, ხშირმა გადასახლებებმა გასტეხა მისი ჯანმრთელობა, მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, იგი დიდ მუშაობას ეწეოდა, ქმნიდა და ხელმძღვანელობდა კომკავშირულ ორგანიზაციებს.

1920 წლის 25 აგვისტოს შეიკრიბა საქართველოს კომკავშირის პირველი არალეგალური ყრილობა, რომელიც ბორის ძნელაძემ მოამზადა და გახსნა. მართალია ყრილობა მენშევიკებმა დაარბიეს, მაგრამ მაინც მოხერხდა ცენტრალური კომიტეტის არჩევა. ცენტრალური კომიტეტის მდივნად ბორის ძნელაძე აირჩიეს. მეორე დღეს კი იგი მენშევიკურმა ხელისუფლებმა დააპატიმრეს და ბაქოში გადაასახლეს. ბაქოში მან ნახევარი წელი იმუშავა აზერბაიჯანის კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტში. 1920 წლის ოქტომბერში, როგორც საქართველოს დელეგატი, იგი დაესწრო რუსეთის კომკავშირის III ყრილობას, სადაც საპროგრამო სიტყვით გამოვიდა ვ. ი. ლენინი. ყრილობიდან უკან, ბაქოში დაბრუნებული ბორისი სათავეში ჩაუდგა აღმოსავლეთის ქვეყნების ახალგაზრდობის საბჭოს და მთელ მის მუშაობას წარმართავდა ვ. ი. ლენინის მიერ ყრილობაზე წარმოთქმული სიტყვის საფუძველზე. ბაქოში მუშაობდა, მაგრამ ყურადღებას და ხელმძღვანელობას არ აკლებდა საქართველოს კომკავშირს.

1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მუშებმა და გლეხებმა, წითელი არმიის დახმარებით, დაამხეს საძულველი მენშევიკური ხელისუფლება და საბჭოთა წესწყობილება დაამყარეს. ამ ბრძოლაში საქართველოს კომკავშირი ბ. ძნელაძის ხელმძღვანელობით მხარში ედგა პარტიას.

საქართველოში დაბრუნებული ბორისი აქტიურად ჩაება პარტიულ და კომკავშირულ საქმიანობაში. მას ირჩევენ კომკავშირის თბილისის კომიტეტის მდივნად, შემდეგ პარტიის თბილისის მე-2 რაიონის რაიკომის მდივნად, 20 აპრილს კი — საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. საქართველოს კომკავშირისა და მშრომელი ახალგაზრდობის საყვარელი ხელმძღვანელი დიდი გატაცებით ჰკიდებს ხელს კომკავშირის ხელმძღვანელობას. 4 მაისს ბ. ძნელაძეს ირჩევენ კომკავშირის კავკასიის ბიუროს შემადგენლობაში. იგი მთელი ენერგიით იბრძვის კავკასიის მშრომელი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდისა და შემჭიდროებისათვის, მისი პოლიტიკური და კლასობრივი შეგნების ამაღლებისათვის.

1921 წლის 21 აგვისტოს შედგა საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა. ბორის ძნელაძე კვლავ აირჩიეს ცენტრალური კომიტეტის მდივნად. ამ საპატიო პოსტზე 1921 წლის 17 დეკემბრამდე მუშაობდა, შემდეგ იგი გაიგზავნა საქართველოს კპ (ბ) დუშეთის სამაზრო კომიტეტის მდივნად, სადაც აგრეთვე გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა პარტიულმა მუშაკმა.

1922 წლის თებერვალში ბ. ძნელაძე დაინიშნა მეთაურთა ქართული სკოლის კომისრად, რაც დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ უბნად ითვლებოდა მაშინ. აქაც ჩვეული ენერგიითა და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა საქმეს და ბოლშევიკური სულისკვეთებით ზრდიდა წითელი არმიის ქართველ მეთაურებს.

1923 წლის დასაწყისში პარტია ბორისს მეთაურთა სკოლის კურსანტებთან ერთად, გზავნის გურიაში მენშევიკური ბანდიტიზმის ნაშთების აღმოსაფხვრელად. ამ დავალებასაც ბრწყინვალედ ასრულებს. მაგრამ ამ ოპერაციის დროს გაეხსნა ტუბერკულოზის პროცესი და აბასთუმანში გაგზავნეს სამკურნალოდ. ოქტომბერში ავადმყოფობამ იმძლავრა, 5 ოქტომბერს იგი თბილისში წამოიყვანეს, მაგრამ გზაშივე, ბორჯომში გარდაიცვალა. 6 ოქტომბერს მისი ცხედარი თბილისში ჩამოასვენეს და 11 ოქტომბერს დიდი პატივით მიაბარეს მიწას კომუნარების ბაღში.

„თუ როდესმე მწარე იყო ჩემთვის მოგონების გადმოცემა... უდროოდ დაკარგულ ახლობელ მეგობრებ-ამხანაგების შესახებ... კიდევ უფრო აუტანელია დღეს ჩემთვის საბრალო ბორიას მოგონება... ის მწარე გრძნობა, რომ საუკეთესო ახალგაზრდა პროლეტარი რევოლუციონერი უკვე აღარ არის ჩვენს შორის, ცეცხლს მიკიდებს".

ასე დაიტირა ამ ქვეყნიდან უდროოდ წასული თავისი ახალგაზრდა მეგობარი, საყვარელი მოწაფე და თანამებრძოლი ბორის ძნელაძე ჩვენი პარტიის უხუცესმა წევრმა, გამოჩენილმა რევოლუციონერმა მიხა ცხაკაიამ და ამით გამოხატა მთელი საქართველოს ბოლშევიკებისა და კომკავშირლების საერთო გულისტკივილი აუნაზღაურებელი დანაკლისის გამო.

ა. კელენჯერიძე,
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის საქართველოს ფილიალის დირექტორი.

14 აგვისტო ფიზკულტურელის საკავშირო დღეა

## ხელ-მარჯვედ სჭერია ჩოგანი

VI-VII კლასის გოგონები მხიარული სიცილ-კისკისით შეიჭრნენ „დინამოს" ჩოგბურთის სტადიონის კარებში. მათ თანატოლი შავგვრემანი გოგონა ახლდა. ბავშვებმა სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობაზე დაიგვიანეს, რისთვისაც სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ა. ხანგულიანის საყვედური მიიღეს. მალე ჯგუფი ვარჯიშს შეუდგა. კორტის კუთხეში გაუნძრევლად იდგა შავგვრემანი გოგონა და ხელში უხერხულად ატრიალებდა მის მიერ დამზადებულ ფანერის ჩოგანს. ჭაღარა მწვრთნელმა ბავშვის ხელში ჩოგანი შეამჩნია.

— შენც გინდა ჩოგბურთი ითამაშო?

— დიახ! — დარცხვენით მიუგო გოგონამ.

— რა გვარი ხარ?

— რენა აბჟანდაძე.

ეს იყო 1954 წლის გაზაფხულზე. ბავშვს თავდავიწყებამდე იტაცებდა ჩოგბურთის თამაში, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც იგი წვრთნის დამთავრების შემდეგაც არ ტოვებდა მოედანს. მწვრთნელს კი პირველად დიდად არა სჯეროდა თავისი ახალი აღსაზრდელის მომავალი.

რამდენიმე თვის შემდეგ რენა აბჟანდაძემ პირველი მილოცვა მიიღო მასწავლებლისაგან, მეგობრებისაგან. მან თბილისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა გოგონათა პირად ტურნირში. მომდევნო წელს საქართველოს მოსწავლეთა ნაკრები გუნდი ესტონეთის დედაქალაქისაკენ გაემგზავრა. ჩვენი ქვეყნის მოსწავლეთა ამ საკავშირო ფორუმზე რესპუბლიკის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ი. რიაზანოვა, გ. ლუკაშვილი, ლ. მძინარიშვილი, გ. მუსაელიანი და რ. აბჟანდაძე, I ადგილი დაისაკუთრა. ახლა ძნელია არასახარბიელო ვუწოდოთ ნორჩი ქართველი ჩოგბურთელის მიერ პირად ტურნირზე მოპოვებულ მე-13 ადგილს, რადგან მაშინ ესოდენ დიდ სარბიელზე იგი პირველად გამოდიოდა. უფრო უკეთესი იყო მისი მაჩვენებელი სსრ კავშირის ხალხთა I სპარტაკიადაზე, სადაც მერვედფინალში სწრაფად მზარდ 16 წლის თბილისელ ქალიშვილს

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რენა აბჟანდაძე

გზა გადაუღობა სსრ კავშირის ჩემპიონმა, კიეველმა ვ. კუზმენკო-ტიტოვამ. რენა 8 უძლიერესთა შორის მოხვდა, რის შემდეგ ჩვენი ქვეყნის გოგონათა ნაკრების წევრი გახდა.

... დინამოს კორტებზე ხალხმრავლობაა. ნამდვილ ჩოგბურთს მონატრებული თბილისელები, მათთვის დამახასიათებელი ტემპერამენტით უამბობენ ერთმანეთს მონაწილეთა შესახებ, აკეთებენ პროგნოზებს. რ. აბჟანდაძე „დინამოს" ცენტრალური საბჭოს მონაწილეთა შორისაა. ნამდვილმა ქარიშხალმა გადაუარა ტრიბუნებს, როდესაც თბილისელმა გოგონამ სსრ კავშირის არაერთგზის ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, მოსკოველი ე. ჩუვირინა დაამარცხა. რენას ულოცავდნენ ნაცნობები, უცნობები, გულშემატკივრები. სიხარულისაგან დაბნეულმა გოგონამ ქალთა ერთეულების ფინალში მეორე მოსკოველ ჩოგბურთელ ა. დიმიტრიევასთან განიცადა დამარცხება, მაგრამ გუნდში მეორე საპრიზო ადგილი მაინც დაისაკუთრა. თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მოსწავლე სსრ კავშირის სპორტის ოსტატიც გახდა.

1958 წელს თბილისში მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადა ტარდებოდა.

— სპარტაკიადის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან ა. დიმიტრიევა (მოსკოვი) და რ. აბჟანდაძე (თბილისი), — გამოაცხადა მსაჯმა.

რენამ შესანიშნავად წარმართა პირველი პარტია — 6:2, ტრიბუნებზე ეჭვი არავის ეპარებოდა მის გამარჯვებაში. მეორე პარტიაში იგი კვლავ წინ იყო 5:4. კიდევ ერთი მახვილგონივრული მისვლა ბადესთან, ზუსტი დარტყმა და წინ სასურველი რევანში იყო, მაგრამ მასპინძელი ოდნავ ადრე დარწმუნდა გამარჯვებაში, მოდუნდა, დაჰკარგა სიზუსტე და დამარცხდა.

— ნუ ღრიალებ, — უთხრა მაშინ მწვრთნელმა, — რევანში მომავლისათვის გადავდოთ...

შეუმჩნევლად გადიოდა დრო. რ. აბჟანდაძის წარმატებათა შესახებ სულ უფრო ხშირად გადმოსცემდა საკავშირო რადიო. მის სურათებს ხშირად ნახავდით გაზეთებში. რენამ საგრძნობლად აიმაღლა ოსტატობა, ხელმარჯვედ სცემდა ჩოგანს და წარმატებებიც ჰქონდა. ბუდაპეშტში გამართულ სოციალისტური ქვეყნების ტურნირზე მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე ქართველი ჩოგბურთელი 4 უძლიერეს სპორტსმენს შორის მოხვდა. შემოდგომაზე სოჭში რენამ ქვეყნის ათ უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ტურნირზე, სადაც საბჭოთა საჩოგბურთო სკოლის ცნობილი ოსტატები ი. რიაზანოვა-ერმოლოვა, მ. კული, ლ. პრეობრაჟენსკაია, ვ. კუზმენკო-ტიტოვა, რ. ისლანოვა და სხვები გამოდიოდნენ, პირველი ადგილი და სპეციალური პრიზი დაისაკუთრა.

კიდევ ერთხელ გაახარა თაყვანისმცემლები რენა აბჟანდაძემ თბილისის I საერთაშორისო ტურნირზე გამარჯვებით.

ქალთა პირად პირველობაზე რენამ ტურნირის პირველი ლაურეატის წოდება მოიპოვა. ქალთა წყვილების თანრიგში იგი თანაქალაქელ ი. რიაზანოვა-ერმოლოვასთან გამოდიოდა და გამარჯვება იზეიმა. შერეულ წყვილებში მისი მეწყვილე სახელგანთქმული ჩოგნის დიდოსტატი ა. მეტრეველი იყო. აქ თბილისურმა დუეტმა მე-2 საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. ტაშკენტში რენამ გამარჯვება იზეიმა ქვეყნის 10 უძლიერესი ჩოგბურთელის პირად ტურნირზე და ფინალში უიმბლდონის ტურნირის მომავალ პრიზიორს ო. მოროზოვას მოუგო.

მის ნამდვილ ტრიუმფად შეიძლება ჩაითვალოს 1968 წელი, როდესაც ქართველ ჩოგბურთელთა ჯგუფი დიდი წარმატებით გამოვიდა ინდოეთის სხვადასხვა ქალაქებში გამართულ საერთაშორისო ტურნირებზე. ინდოეთის ღია ჩემპიონატი მოეწყო ქ. კალკუტაში, სადაც საქართველოსა და უკრაინის ჩემპიონმა რ. აბჟანდაძემ დიდი ოქროს მედალი მოიპოვა. აზიის ქვეყნების ღია პირველობაზე საბჭოთა და ინდოელ სპორტსმენებთან ერთად ჩეხოსლოვაკელი, რუმინელი, იუგოსლაველი და აზიის სხვადასხვა კონტინენტის საუკეთესო სპორტსმენები ასპარეზობდნენ. თბილისურმა დუეტმა ა. ივანოვამ და რ. აბჟანდაძემ აზიის ჩემპიონის ოქროს მედლებით დაიმშვენეს მკერდი. შარშანწინ რენა ისევ შორეულ ინდოეთს გაემგზავრა სასპარეზოდ და ხელმეორედ მოიპოვა ოქროს 2 მედალი. იქ ერთ-ერთი შერკინების დროს მძიმე ტრავმა მიიღო. საქმეში ჩაერივნენ ექიმები, რომელთა რჩევითაც იგი დროებით ჩამოშორდა სპორტის საყვარელ სახეობას.

რენა აბჟანდაძის ოჯახს დიდი ჩოგბურთის აკადემია შეიძლება ვუწოდოთ. მისი მეუღლე ივანე გოგილაშვილი რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი და „დინამოს" ჩოგბურთის სტადიონის დირექტორია. 8 წლის გოგონა ნანა უკვე მეორე წელია დედის ხელმძღვანელობით ეუფლება ჩოგბურთის თამაშის საიდუმლოებას. საქართველოს, უკრაინის, ინდოეთის, აზიის ქვეყნების ჩემპიონი და პრიზიორი, სპორტის ოსტატი რენა აბჟანდაძე ახლა „ნორჩი დინამოს" ჩოგბურთის ბავშვთა სპეციალიზებული სპორტსკოლის მწვრთნელია. მის ჯგუფებში ოსტატობას იმაღლებენ ნორჩები, მათ თავის მდიდარ გამოცდილებასა და ცოდნას გადასცემს ახალგაზრდა მწვრთნელი.

**შალვა ქირია**





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნორჩი მომღერლები, დები — ინგა და ნანა ზერაძეები.
ქ. თბილისის 22-ე საშუალო სკოლა.





## მოსწავლეთა მეშვიდე რესპუბლიკურ ოლიმპიადაში გამარჯვებულნი



ფოტოები დ. იაკობაშვილისა

ნუგზარ ენუქიძე.
ქ. თბილისის მე-2 გახანგრძლივებული საშუალო სკოლა.



ფოტო ვ. გოგოხიასი

ცეკვა „ყაზბეგური“. ქორეოგრაფი ლ. ჭანიშვილი.
ასრულებენ ნინო ცირეკიძე და ლევან გოგოლიშვილი.
მახარაძის რაიონის სოფ. ლიხაურის საშუალო სკოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქიონია სარსანია



საქართველოს სამხრეთის სანაპიროს ზონიდან ჩაი ახლა წარმატებით ჩრდილოეთისკენ მიიწევს. წინათ კი ბევრს არ სჯეროდა, რომ ეს ძვირფასი კულტურა დაინერგებოდა საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ რაიონებშიც, კერძოდ, ზუგდიდის რაიონში, სადაც სჭარბობს ეწერი ნიადაგი. გადამწყვეტი სიტყვისათვის მოიწვიეს ინგლისელი სპეციალისტები, ყველაზე ავტორიტეტული ჩაის მეცნიერი-ექსპერტის დოქტორ ჰაროლდ მანის მეთაურობით.

ეს იყო 1932 წელს. დოქტორი მანი დიდხანს ათვალიერებდა ზუგდიდის საცდელი სადგურის ჩაის პლანტაციებს, გლეჯდა ბუჩქებზე ყლორტებს, ხელის გულზე იფშვნიდა მიწის გოროხებს, იკვლევდა აქაურ ჰავას, მაგრამ თქმით არაფერს ამბობდა.

საბჭოთა სპეციალისტმა მეჩაიეებმა უცხოელებს უთხრეს, რომ სამეგრელოს ნიადაგზე ჩაი კარგად ხარობსო. მაგრამ ბურჟუაზიული მეცნიერების „მნათობს" ამის გაგონებაც კი არ სურდა. ჩვეულებრივად სიტყვაძუნწმა უცხოელმა, თავი ვერ შეიკავა და წინდაუხედავად წამოცდა: არაფერიც არ გამოვა!..

მცირე პაუზის შემდეგ მან ქედმაღლურად და თვითდაჯერებულად დაუმატა:

— ზუგდიდის საცდელი სადგურის ტერიტორიის ნიადაგი დაბალი ხარისხისაა. მისი ნაკლოვანებები იმდენად აშკარაა, რომ მე არ გირჩევდით ჩაისათვის დაგეთმოთ დიდი ფართობი ასეთი ტიპის ნიადაგიან მიწაზე.

მაშინ უცხოელები წაიყვანეს რაიონის ცენტრთან ახლომდებარე ინგირის მიდამოებში და უთხრეს: აქ განზრახულია ჩაის საბჭოთა მეურნეობის ჩამოყალიბებაო. დოქტორმა მანმა კიდევ უფრო ცუდად შეაფასა ამ უბნის ნიადაგი და ურჩევდა ხელი აეღოთ ამ „ბავშვურ განზრახვაზე" (საბჭოთა სპეციალისტებმა არ დაუჯერეს ინგლისელებს და ახლა ინგირის საბჭოთა მეურნეობა ჩაის ერთ-ერთი საუკეთესო მეურნეობაა რესპუბლიკაში). ახალგაზრდა საბჭოთა მეჩაიეები, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ მისწრაფებით — ესწავლათ ჩაის ბუჩქის გაშენება, შეეწყვიტათ საზღვარგარეთიდან ჩაის შემოტანა, არ დაეთანხმნენ ინგლისელ სპეციალისტთა მოსაზრებებს და მათ აჩვენეს ქიონია სარსანიას პლანტაცია კოლმეურნეობა „ინგირში". სადაც, ჯერ კიდევ მაშინ, ის ჰექტარზე 4.000 კილოგრამ ჩაის კრეფდა.

დოქტორ მანს ქიონიას პლანტაციამ და მისმა გამრჯე ხელებმა პირზე სიტყვა შეაშრო, მაგრამ იხტიბარი მაინც არ გაიტეხა:

— არაბუნებრივია, დაუჯერებელია, — ამბობდნენ ინგლისელები, — ამ ფაქტიდან შეუძლებელია საერთო დასკვნის გამოტანაო.

საბჭოთა მეჩაიეები საზღვარგარეთელი მეცნიერების დოგმათა წინაშე ბრმა მონა-მორჩილების საპირისპიროდ შეუპოვრად და დაჟინებით ახორციელებდნენ განზრახულს.

ქიონია სარსანიამ მარტო დოქტორ მანს კი არა, მთელ ქვეყნიერებას დაუმტკიცა, რომ საქართველოს სუბტროპიკული ზონის ჩრდილო ნაწილში „მწირი" მიწებიც შეიძლება ჩავაყენოთ ჩაის წარმოების სამსახურში.

დაუმტკიცა. სათქმელად ადვილია, მაგრამ ვინ იცის, ამის დამტკიცება მომქანცველ შრომაში განვლილ რამდენ თვედ და წლად დაუჯდა; მუდმივი ძიება, ნიადაგის მოვლის სრულყოფა, თითოეული ბუჩქისათვის შვილივით ზრუნვა, თავდადებულ შრომას, მტკიცე ნებისყოფას და საქმის დიდ სიყვარულს მოითხოვდა.

ქიონია სარსანია იმ პირველ შუქურათა პლეადაში შედის, ვინც ასე დიდი ღვაწლი დადო ქართული ჩაის წარმოებას, ესენი არიან: თამარ ყუფუნია და აიშე ჯიჯავაძე, ცაცა ქარდავა და აიშე გურგენიძე, დარეჯან ტაკიძე და ხფაფ ლასურია, ტატიანა ჩხაიძე და მარიამ ადლეიბა და სხვა ათობით სახელოვანი ადამიანი, რომელთა შრომისმოყვარეობის, პატრიოტობის მაგალითზე იზრდებოდნენ და იზრდებიან თაობები, რომლებმაც თავიანთი უმაგალითოდ ნაყოფიერი შრომით შექმნეს საზოგადოებრივი შრომის თავისებური სკოლები. ამ სკოლებში და მათ გამოცდილებაზე იზრდებოდნენ „მწვანე ოქროს" უხვი მოსავლის ოსტატები.

როცა ომის მძიმე წლები დადგა, ქიონია სარსანია თავდადებული შრომით აღაფრთოვანებდა ადამიანებს ბრძოლის ველზე და ზურგში. ყოველდღიური დავალების ორ-სამმაგად შესრულებასა და გამომუშავებული მთელი თანხის თავდაცვის ფონდში გადარიცხვასთან ერთად, ეს უბრალო მშრომელი ქალი იღწვოდა ჩაის ბუჩქის მოვლისა და კრეფის ახალი მეთოდის დანერგვისა და პლანტაციის სანიმუშო დამუშავებისათვის. ამ პერიოდში მისი მაჩვენებელი ჰექტარზე 11 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი იყო.

თავდადებული, ენერგიული, საქმის დიდოსტატი ქალი საუკეთესოდ უთანხმებდა ერთმანეთს შრომასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. როგორც სსრ კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოსა და ზუგდიდის რაისაბჭოს არაერთგზის დეპუტატს, სოფლისა და თანასოფლელთა მრავალი საჭირბოროტო საკითხი მოუგვარებია. უანგარო მშრომელსა და ხალხის მსახურს მკერდს უმშვენებდა პატიოსნების, ბეჯითობის, მამაცობის ჯილდოები: ოთხი ლენინის ორდენი, შრომის წითელი დროშის ორდენი, მედლები, „სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარჩინებულის" ნიშანი, მის პირად არქივში ინახება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის 18 მედალი.

თანასოფლელები პატივს ცემდნენ შრომისმოყვარე კოლმეურნეს გიორგი სარსანიას, ქიონიას მეუღლეს, რომელიც უბრალო რიგითი გლეხკაცი იყო და თავისი სიცოცხლის მანძილზე (ადრე გარდაიცვალა) სიყვარულით ეკიდებოდა საზოგადოებრივ საქმეს. მისი გარდაცვალების შემდეგ ქიონია დარჩა ოჯახის ბურჯი, ხელმადლიანი მშრომელი ქალი. იგი სახელოვანი შრომითი გზის გაკვალვასთან ერთად, ოჯახსაც უვლიდა, ქალიშვილიც გაზარდა, სიძეც შემოიყვანა ოჯახში და სარსანიების კერა არა თუ ჩააქრო, არამედ ადიდა და შრომის ბრწყინვალე შარავანდედით შემოსა.

ამჟამად ზუგდიდის ნიადაგი იძლევა ჩაის ფოთლის უხვ, ხშირად სარეკორდო მოსავალს. დამახასიათებელია, რომ სოფელ ახალსოფლის კოლმეურნეობა თავის პლანტაციებიდან ყოველწლიურად იღებს 5-6 ტონა ჩაის ფოთოლს ჰექტარზე.

სწორედ აქ, უცხოელთა მიერ დაწუნებულ ამ „მწირ" მიწაზე, დაამყარა ჩაის ფოთლის კრეფის მსოფლიო რეკორდი ქიონია სარსანიამ, ის ყოველწლიურად კრეფდა მისთვის გაპიროვნებულ 0,8 ჰექტარზე სულ ცოტა 10 ტონა ჩაის ფოთოლს. ამგვარად, რიგითმა კოლმეურნე ქალმა მიიღო ისეთი უმაგალითოდ დიდი მოსავალი, რაც საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის არნახული იყო.

ჩვენმა მთავრობამ დამსახურებისამებრ მიანიჭა ქიონია სარსანიას სოციალისტური შრომის გმირისა და სახელმწიფო პრემიის ლაურეატის მაღალი წოდებანი.

ამიტომაა, რომ ყოველთვის, როდესაც საუბარი ჩამოვარდება ჩვენში ჩაის მეურნეობის შექმნასა და აყვავებაზე და, სახელდობრ, საქართველოს სუბტროპიკული ზონის ჩრდილოეთ რაიონებში ჩაის გაშენება-განვითარებაზე, არ შეიძლება მადლიერებით არ მოვიგონოთ ჩაის პირველი ენთუზიასტები, მისი წარმოების პიონერები. მათ შორის ქიონია სარსანიას პირველთა შორის პირველი ადგილი მიეკუთვნება.

მიხეილ დავითაშვილი

11868

# ოლ-ოლი — პოეტის შთაგონება

საქართველოს ტურფა ასულნი ხშირად ქცეულან პოეტთა შთაგონების წყაროდ. ლიტერატურის ისტორიამ ბევრი იცის ამის ფაქტები, მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ჩვენი მიზანია მკითხველს გავაცნოთ საქართველოს სახალხო პოეტის, თბილისის ტრუბადურის იოსებ გრიშაშვილის ახალგაზრდული პოეზიის შთაგონების წყარო — ოლღა ვასილის ასული ლეჟავა, ანუ „ოლ-ოლი".

ჩვენს ხელთ არის ქართული კულტურის ამ ორი შესანიშნავი მოღვაწის ურთიერთობის ამსახველი დოკუმენტები, ისინი ოლ-ოლის ერთადერთმა ქალიშვილმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა აგრონომმა, პატივცემულმა ნინო მორთულაძემ გადმოგვცა. პოეტის სიცოცხლეში ამ დოკუმენტების საჯაროდ გამოტანა მიზანშეწონილად არ მიგვაჩნდა. დღეს, როცა თბილისის ქუჩებში აღარ ვხვდებით წიგნებით ხელში გრიშაშვილს, ერთი-ორად გაიზარდა პოეტის ლამაზი და შინაარსიანი ცხოვრების შესწავლის ინტერესი.

ვინ იყო ოლ-ოლი?

„ოლ-ოლი" ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობის — ოლღა ვასილის ასულ ლეჟავას სცენური ფსევდონიმია. მას შემდეგ, რაც ოლღამ ბრწყინვალედ ითამაშა ამავე სახელწოდების როლი ლ. ანდრეევის პიესაში — „დღენი ჩვენი ცხოვრებისა", ახალგაზრდა სოსო გრიშაშვილმა ოლ-ოლი შეარქვა თავის მუზას.

ოლ-ოლი სცენაზე პირველად 1898 წელს გამოჩნდა, როგორც სცენისმოყვარე და მაშინვე მიიქცია თეატრალური საზოგადოებრიობის ყურადღება. ოლღას თამაშით მოხიბლულმა სოფრომ მგალობლიშვილმა ძლივს დაიყოლია მამამისი — ვასილ ლეჟავა ქალიშვილი პროფესიულ თეატრში გაეშვა. მალე „პატარა კახის" ერთ-ერთ წარმოდგენას დაესწრო პიესის ავტორი, ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. იგი მოხიბლა ოლ-ოლის ტურფამ, ავიდა სცენაზე და მადლობა გადაუხადა ქალიშვილს.

ოლ-ოლი უაღრესად სპეტაკი ზნეობის, უმწიკვლო, კეთილშობილი ბუნების, სილამაზითა და სასცენო მაღალნიჭიერებით დაჯილდოებული ადამიანი იყო.

ოლ-ოლი პარალელურად მარიამ დემურიას „ნაკადულის" რედაქციაში მოღვაწეობდა. მარიამის გარდაცვალების შემდეგ კი დიდი დახმარება გაუწია ახალბედა რედაქტორს — მწერალ ნინო ნაკაშიძეს, რომელიც ასე იგონებს ოლ-ოლს: „დილის ცხრა საათზე რომ მოვდიოდი რედაქციაში, ვხედავდი ოლია ლეჟავა უკვე იჯდა თავის მაგიდასთან კანტორაში, ყოველთვის ფაქიზად ჩაცმული და სერიოზულად წერდა მისამართებს, ან კორექტურას ასწორებდა. აქეთ-იქით, მის პირდაპირ, მაგიდის ორივე კუთხისაკენ ისხდნენ ჩვენი პოეტი იოსებ გრიშაშვილი და მხატვარი მ. მორთულაძე და შესცქეროდნენ მას. მე ყოველთვის მაკვირვებდა, რომ ვუცქეროდი, როგორ შეეძლო ოლიას ასე მუყაითად მუშაობა, როდესაც ორი წყვილი მოსიყვარულე ვაჟკაცის თვალები შესცქეროდნენ თითქმის მთელი დღის განმავლობაში".

როგორც თვით იოსებ გრიშაშვილი გადმოგვცემს, ოლღა მას 1907 წელს ავლაბრის თეატრის სუფლიორად მუშაობის დროს გაუცვნია.

ოლ-ოლი არ ყოფილა ერთადერთი ქალი, რომელიც კი პოეტის შთაგონების მუზად ქცეულა, მაგრამ გამოირჩეოდა თუნდაც იმიტომ, რომ, როგორც პოეტი ამბობს, იყო მისი „ახალგაზრდული ლექსების პირველი ადრესატი". გრიშაშვილს არავისათვის იმდენი ლექსი არ მიუძღვნია, რამდენიც ოლ-ოლისათვის. ოლ-ოლის არქივში სათუთად არის შენახული 1955 წელს გამოცემული პოეტის ლექსების სქელტანიანი კრებული, რომლის თავფურცელსაც ამშვენებს წარწერა: „ჩემი ახალგაზრდული ლექსების პირველ ადრესატს ოლღა ლეჟავას (ოლ-ოლს) მარადიული პატივისცემის ნიშნად ავტორისაგან. ი. გრიშაშვილი, 1955 წ. 24 აპრილი". ამ კრებულში მგოსნის ხელით, ფანქრით მოხაზულია ოლ-ოლისადმი მიძღვნილი 134 ლექსი.

„...რუსულის წაკითხვა, ისიც ხელთნაწერისა, ძალიან მიჭირდა პირველ ხანებში. „ნიგილისტკას" რომ ვმსუფლიორობდი, ერთბაშად შევნიშნე, რომ ერთი ისეთი ორჭოფული რუსული სიტყვა წამომიროშია, მთელი აქტიორები სიცილით დაწყდნენ... არ იცინოდა მხოლოდ მსახიობი ოლია ლეჟავა, იგი თვალცრემლიანი შეჰყურებდა ამ ამბავს. მე, როგორც ახალგაზრდა პოეტი, ოლიას შევეცოდე, მხოლოდ ოლიას. ის მაშინვე კარგ ადამიანად დავსახე და მას შემდეგ დაიწყო ჩემი სატრფიალო ლექსების ციკლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის მიმართ", — იგონებდა 1953 წელს იოსებ გრიშაშვილი. ამ პატარა მოგონებიდან კარგად მჟღავნდება მოსიყვარულე ბუნება ოლ-ოლისა, რომელსაც მეგობრების მარცხი თავის მარცხად მიაჩნდა ყოველთვის, ხოლო მათი მიღწევებით უსაზღვროდ ხარობდა.

მსახიობის არქივში დაცულია იოსებ გრიშაშვილისათვის დამახასიათებელი ლამაზი კალიგრაფიით მოქარგული ოლ-ოლისადმი მიძღვნილი ღია ბარათები, რომელთა უმრავლესობა 1911 წლით არის დათარიღებული. ამ ბარათებში გაბნეულია ოლ-ოლისადმი მიძღვნილი პოეტის ლექსთა ავტოგრაფები. აი ეს ლექსები: „ოლ-ოლ", „ზღვაზე", „ლერწამი ხარ", „ოქროს ლუზა", „ჩემს ოლ-ოლს" და სხვა. აქვეა შემდეგი შინაარსის მინაწერები: „ვუძღვნი ო. ლ-ას, რომელმაც მე კაცად-კაცად გარდამქმნა"; „ოლიკო გენაცვალე! მგლად დაგედე, წამლად გეპკურე, თავს შემოგევლე... არ გებრალები?"... და სხვა.

ოლ-ოლი დიდად აფასებდა ახალგაზრდა პოეტის ნიჭს. ასევე კარგად ხედავდა მის მომავალ სიდიადეს, ღრმად სჯეროდა მისი უმწიკვლო სიყვარულისაც, მაგრამ არ უთანაუგრძნო გულდამწვარ პოეტს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ თვითონ პოეტზე ცხრა წლით უფროსი იყო და მგოსნის გატაცება ინფანტილობად მიაჩნდა. პოეტმა მას სახსოვრად გადასცა თავისი ფოტოსურათი, რომელსაც ოლ-ოლმა ასე მიაწერა: „ბავშვი მგოსანი", ეს სიტყვები პოეტის გულს ხანჯლად დაესო. ტრფიალების ცეცხლი უფრო და უფრო მოედო გულდამწვარ მგოსანს.

„ოლ-ოლ!

შენ ჩემი უნდა იყო, გესმის? მხოლოდ ჩემი, საბოლოვოდ, სამუდამოდ. შენ ნება არა გაქვს სხვა შეიყვარო... შენ ნება არა გაქვს დამივიწყო... გესმის? შენ ჩემი უნდა იყო... მხოლოდ ჩემი, საბოლოვოდ, სამუდამოდ. თვითონ მზეს არც კი ვაპატიებ, რომ ის ასე დაურიდებლად შენ თმებს ეთამაშება, და შენ ზღვა თვალებში სხივებს ალივლივებს... მე თვით მიწას არც კი ვაპატიებ, რომ ის შენს ფეხებს ჰკოცნის... შენ ჩემი უნდა იყო, გესმის? მხოლოდ ჩემი, საბოლოვოდ, სამუდამოდ. შენ ნება არა გაქვს სხვა შეიყვარო, შენ ნება არა გაქვს დამივიწყო, შენ ნება არა გაქვს მიაწერო „ბავშვი მგოსანი", გესმის? შენ ჩემი უნდა იყო, მხოლოდ ჩემი საბოლოვოდ, სამუდამოდ..." ემუდარებოდა უნუგეშოდ გამიჯნურებული პოეტი.

არა და არ იქნა, მუდამ დინჯი და თავშეკავებული ოლღა ცდუნებამ ვერ აიყოლია.

აი მეორე ფოტო, 22 წლის სოსოს გულხელი დაუკრეფია, ქოჩორი შუბლზე აქვს გაყოფილი, წვერ-ულვაში აჰკურებია. ფოტოსურათიდან მისი სიცოცხლით სავსე სახე იმზირება. გადააბრუნებთ სურათს და მეორე მხარეს კითხულობთ: „ოლ-ოლ! ბევრი რამ მსურდა დამეწერა, მაგრამ სიჩუმეს ვრჩეობ — ვსდუმ, მაგრამ ამ დუმილით კი ვსთქვი ყოველივე. მოგიკვდეს გული, თუ დამივიწყო! ი. გრიშაშვილი, 25 აპრილი 1912 წ."

მაგრამ ამაოდ. და მგოსნის კალამს სიყვარულის ახალი რომანსი წასცდა:

„ჩემს ოლ-ოლს:
რომ არ მწყალობ,
ცოდო არ ვარ?
რათ არ ჰგალობ,
არ გიყვარვარ,

თუ არ გსურდი, რათ მაწვალე?
რათ გამცვალე,
გენაცვალე!..."

მოგვიანებით, ხანდაზმული პოეტი იგონებდა: „ქართულ თეატრში გარდა სუფლიორობისა, მსახიობობასაც ვეტანებოდი. ერთი დიდი როლის მონატრული ვიყავი. ჩემ სიცოცხლეში სულ ლაქიებსა და გლეხის პატარა ბიჭებს ვთამაშობდი. მხოლოდ ერთხელ მეღიკალ ჩემი არგისტული ნიჭის ყინი, როცა ჩემს სალამოზე კაქკაველი პეტუას როლი შევასრულე ა. ცაგარელის „ციმბირელში" და ისიც ოლღა ლეჟავასთან ერთად (ის მაშინ,კოს თამაშობდა). წარმოდგენა, რასაკვირველია, კარგად ჩაივლიდა, განსაკუთრებით კარგად ჩავატარეთ შეყვარებულთა სცენა..."

ეს იყო პირველი და ერთადერთი შემთხვევა, როცა ცხოვრებაში მონატრულმა პოეტმა მხოლოდ სცენაზე, ოლღას პირისპირ გამოხატა სიყვარული. პიესის ტექსტი ხომ სრულიად შეესატყვისებოდა მიჯნური პოეტის განწყობილებას: „რათა მკლავ, შენი ჭირიმე? რა დამიშავებია? რა გენაღვლება, მეც ვიცოცხლო, უბედურად მაინც ვეთრიო ამ ქვეყანაზედ". რარიგ ეხმაურებოდა ეს მონოლოგი პოეტის გულისთქმას!

ოლ-ოლმა თითქოს იგრძნო სიკვდილის მოახლოება, სათუთად შენახული, პოეტის მიერ მიწერილი ოთხასამდე წერილი, ღია ბარათი და ლექსები შეკონა და შვილს ანდერძად დაუბარა: ჩემი სიკვდილის შემდეგ სოსოს დაუბრუნეთო. ანდერძი შესრულდა, გრიშაშვილმა სასოებით ჩაიბარა ძვირფასი რელიქვიები, რომლებიც ამჟამად ხარფუხში, მის სახლ-მუზეუმში ინახება. უახლოეს ხანში გამოვა პოეტის შემოქმედების სრული კრებული, რომლის ერთ-ერთ ტომში შევა აღნიშნული ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ზემოთმოყვანილი წერილები ნაწილია იმისა, რაც აღმოჩენილი იქნა ოლ-ოლის ოჯახში მისი გარდაცვალების შემდეგ. არავინ იცის გამორჩა, თუ განზრახ მოიტოვა ისინი მსახიობმა ქალმა. დაე გვაპატიოს მისმა ნათელმა ხსოვნამ, თუ ისინი საქვეყნოთ გამოვიტანეთ.

ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ იქნება მკითხველისათვის ორიოდ სიტყვით გავიხსენოთ ოლ-ოლის სამსახიობო მოღვაწეობაც. ამ სარბიელზე მისი გამოჩენა დაემთხვა 1905 წლის რევოლუციის სამზადისის პერიოდს. რევოლუციურად განწყობილი საზოგადოება თავის საბრძოლო იდეების ექოს ისტორიულ-პატრიოტულ თემებზე შექმნილ ნაწარმოებებში პოულობდა. პატრიოტული თემა აქტუალური თემა იყო თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. ეს სიმბოლიურად შეესატყვისებოდა ეპოქის სულისკვეთებას. ეს თემა ყოველთვის აღელვებდა ქართულ თეატრს, ოლ-ოლმა ღირსეულად დაიცვა და გააგრძელა ეს ტრადიცია. ამ მიმართულებით ოლღას მიერ შესრულებული როლებიდან საკმარისია დავასახელოთ ტურფა — „პატარა კახი" აკ. წერეთლისა, გაიანე — „ღალატი" ალ. სუმბათაშვილისა, ფაიხოში — „სამშობლო" დ. ერისთავისა, ნათელა — „შიო თავადი" შ. არაგვისპირელისა, მარიამი — „სამეგრელოს მთავარი ლევან" ვ. ყიფიანისა, თამარი — „თამარ ბაგრონიშვილი" კ. მესხისა და სხვა. პარალელურად ამისა, ქართულ სცენაზე მკვიდრდებოდა ფსიქოლოგიური რეალიზმი, რომლის განმტკიცებასაც დიდად შეუწყო ხელი გერმანელი დრამატურგების — ჰაუპტმანის, ზუდერმანის, ვილდენბურგის და სხვათა პიესებმა, რომლებშიაც ოლ-ოლი წარმატებით გამოდიოდა.

ოლ-ოლმა ასევე წარმატებით განასახიერა შილერისა და შექსპირის პიესებში მთავარი როლები: ამალია — „ყაჩაღები", დეზდემონა — „ოტელო", კორდელია — „მეფე ლირი", პორცია — „ვენეციელი ვაჭარი" და სხვა.



ოლ-ოლმა თავისი კვალი დატოვა ქართული კინემატოგრაფიის ისტორიაშიც. მონაწილეობა მიიღო კინოსურათებში: „უკანასკნელი მასკარადი", „არსენა", „ნარინჯის ველი", „კოლხიდის ჩირაღდნები", „გიორგი სააკაძე" და სხვ. ამ ფილმებში მან ეპიზოდური როლები ისეთი დახვეწილი პროფესიული ოსტატობით ითამაშა, რომ მთავარ როლებს გაუტოლა. დაუვიწყარია მისი დედა მიხეილ ჭიაურელის კინოფილმში „უკანასკნელი მასკარადი". თავის დროზე „უკანასკნელი მასკარადი" დიდი წარმატებით მიდიოდა საბჭოთა ეკრანებზე. როგორც ალ. დოვჟენკო იგონებს („იზვესტია" 1936 წ. № 258), მასთან ერთად ფილმი უნახავს ი. ბ. სტალინს, მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია სურათს და დადებითად შეუფასებია ფილმის დამდგმელი კოლექტივი. უდავოა, ეს გამარჯვება სხვებთან ერთად ოლ-ოლსაც ეკუთვნოდა.

ასეთი იყო ოლ-ოლი — მსახიობი, საზოგადო მოღვაწე და პოეტის შთაგონება. მართალია, პოეტისა და მსახიობი ქალის ცხოვრება სხვადასხვა გზით წარიმართა, მაგრამ ისინი მთელი სიცოცხლის მანძილზე გულწრფელ მეგობრებად და ურთიერთის ნიჭის თაყვანისმცემლებად დარჩნენ.

**გივი ჯაოშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



სოფიო ნიკოლოზის ასული გულისაშვილი-ლეონიძე თავის შვილებთან: სხედან სიკო და ლევანი, დგანან ევგენია, გიორგი და ნინო (საოჯახო ალბომიდან), ფოტორეპროდუქცია დ. სამხარაძისა.

# გიორგი ლეონიძის დედა

ვის არ გაუგონია კახეთის პატარა სოფელი — ლამაზი პატარძეული; საქართველოს სახალხო პოეტმა გიორგი ლეონიძემ შორს გაუთქვა სახელი ამ სოფელს. მაგრამ მას არანაკლებ უყვარდა დედულეთი, ნინოწმინდა. ეს სიყვარული ჩქეფს შესანიშნავ ლექსშიც — „ნინოწმინდის ღამე". სათავე ამ თაყვანისცემისა პოეტის დედა გახლავთ — კეთილმოსაგონარი ადამიანი, სამაგალითო დედა და აღმზრდელი თავისი ობლებისა — სოფიო ნიკოლოზის ასული გულისაშვილი. ადრე დაქვრივებულ ქალს ხუთი შვილი დარჩა გასაზრდელი. გამჭრიახი და მუყაითი ადამიანი დღე და ღამეს შრომაში ასწორებდა; საღამოობით ქსოვდა, ართავდა, კერავდა. თუმცა სოფლის სამრევლო სკოლა ჰქონდა დამთავრებული, შესანიშნავად იცნობდა ქართულ მწერლობას. შვილებს აჩვევდა სწავლისა და შრომის სიყვარულს, უფროსების პატივისცემას. მამით ობოლ ბავშვებზე მზრუნველობას იჩენდა დეიდა მაიკოც, ალერსიანი, ტკბილი ადამიანი. პოეტმა სწორედ მისი საალერსო სიტყვები აჰკინძა მარგალიტივით და შეიტანა მშვენიერ წიგნში: „ნატვრის ხეში".

ქვრივ სოფიოს ამაგი დაუფასდა. შვილებმა ასახელეს საყვარელი დედა, განსაკუთრებით კი გიორგიმ — ყველა ქართველის სათაყვანო პოეტმა, სწორედ იმ გიორგიმ, მამის გარდაცვალებისას ერთი წლისაც რომ არ იყო. დედა შეჰხაროდა თავის გოგლას, მისი წარმატება ძალას ჰმატებდა. ვინ იცის, რამდენი ახალი ლექსი წაუკითხავს გოგლას მშობლისათვის, რამდენჯერ გაუხარებია მღელვარე პწკარებით.

შვილები თავს evლებოდნენ მოჭირნახულე დედას, უფრთხილდებოდნენ, იცავდნენ მის ჯანმრთელობას. ზრდადასრულებული შვილებისათვის მშობლის რჩევა-დარიგება მუდამ გულშიჩამწვდომი და ანგარიშგასაწევი იყო. და-ძმებს შორის ყოველთვის სიამტკბილობა სუფევდა. მათ ოჯახებში დედის შთაგონებით ურთიერთპატივისცემა იყო დამკვიდრებული. თუ ადამიანი თავისი ოჯახისათვის არ ვარგა, ის საზოგადოებისათვისაც უვარგისი იქნება — ხშირად ეტყოდა დედა შვილებს და მათაც ეს შეგონება გულის ფიცარზე ჰქონდათ დაწერილი.

1936 წელს შვილებმა ავადმყოფი დედა სამკურნალოდ თბილისში ჩამოიყვანეს. მაგრამ ჯანგატეხილ ქალს ვეღარაფერი ეშველა. დედის ავადმყოფობა, მასთან უკანასკნელი საუბარი და ბოლოს სიკვდილი პოეტმა ნაღვლიანი ლექსით გამოხატა: სიცხითა და ტკივილით შეწუხებური დედა თავის გოგლას ანუგეშებდა:

მე შენთან მოვალ, ვით ვარდზე ნამი,
ჩამოვალ, როგორც სხივი მთვარისა...

სევდამ დაისადგურა პოეტის გულში, რადგანაც პატარძეულში დედის სიკვდილთან ერთად „გადახმა ბაღჩა", „გაცივდა თონე". მაგრამ დედა უკვდავებად დარჩა, „იქცა ორთქლად" და „ნამად დაადნა დაგვალულ ყანას".

გიორგი ლეონიძეს იმ მძიმე დღეებში თან ახლდა პოეტი შალვა აფხაიძე. აი რას იგონებს იგი: „საჭირო იყო სასაფლაოზე სამარის ადგილის არჩევა. ერთად წავედით. გიორგი უფრო შემაღლებულ ადგილზე შეჩერდა, იქაურობა ძეძვით იყო დაფარული. „დედას სიო უყვარდა. შრომით დაღლილი მის გრილ ქროლვაში ისვენებდა. აი, აქ უფრო ძლიერ ჰქრის სიო. მოდი, ძეძვებს შორის ეს ადგილი იყოს საუკუნო განსასვენებელი. თვითონაც მთხოვდა, აქ დამმარხეო", — მითხრა გიორგიმ და თვალებს ცრემლი მოსწყდა. ეს იყო შვილის პირველი ცრემლი, რომელიც დედის სამარისთვის არჩეულ ადგილს დაეცა".

ნაჯაფარი, ვალმოხდილი, სამაგალითო და კეთილი დედა პატარძეულის მიწამ მიიბარა. შვილს კი, თითქოს მწუხარების საპასუხოდ, იმედისეული სტრიქონები აღმოხდა:

არა! აქვე ხარ, შენს წყნარ ეზოში,
ფშატის შრიალში ხარ ნიშნეულად,
ამ კვირტში გხედავ, ყვავილის ზროში,
სიცოცხლის ნიშნად რაც მიჩნეულა.

დედის საფლავს შვილები ხშირად ნახულობდნენ და ყვავილებით ამკობდნენ. ხოლო გიორგი ლეონიძის „პატარა ქვაო პატარძეულში" — დედაშვილური სიყვარულის ძეგლია თითქოს.

დრო გადიოდა. დედის ხატება კი კვლავ ცოცხლობდა შვილის ხსოვნაში. ერთხელ მეგობარი მხატვარი — ვახტანგ ჯაფარიძე აიყვანა პატარძეულში და თხოვა დედის საფლავი ჩამიხატეო. მხატვარი ასე იგონებს: „ლეონიძემ ბუჩქებში ერთი უბრალო ქვა მონახა. ეს იყო მისი დედის საფლავის ქვა. გარშემო გამეფებულმა მყუდროებამ, სასაფლაოს ფერშეცვლილმა, ხავსმოდებულმა ქვებმა და გიორგი ლეონიძის სევდით მოცულმა სახემ გადმომცეს ის გრძნობა, რომლის შთაბეჭდილების გავლენით უნდა დამეხატა, დამეწერა ეს პატარა კუთხე, სადაც ესვენა გიორგისათვის უძვირფასესი ადამიანის ცხედარი..., მუშაობა დავამთავრე და უძრავად გავჩერდი, ხმას არ ვიღებდი, ველოდებოდი მის სიტყვას, მის აზრს ჩემი ეტიუდის შესახებ, მაგრამ ის დუმდა. მე მოვტრიალდი და შევხედე. გიორგიმ თითქოს ოდნავ შეხებით თვალებიდან ცრემლები ჩამოიგდო და მოკლედ მითხრა — წავიდეთო, თბილისამდე ხმა არ ამოუღია, მხოლოდ განშორებისას ეტიუდი ფრთხილად გამომართვა, მადლობა გადამიხადა და შემეკითხა: ამ სურათს რა ფერის ჩარჩო მოუხდებაო.

შემდეგ ეს სურათი ჩემს ორ სხვა სურათთან ერთად მის სახლში, საწერ მაგიდასთან ახლოს კედელზე ეკიდა".

ხომ გახსოვთ გიორგი ლეონიძის მშვენიერი პოემა „ფორთოხალა". პოეტმა ის დედის ხსოვნას უძღვნა და ერთხელ კიდევ ნათლად გამოხატა თავისი პატივისცემა მშობლისადმი. ყველასათვის და განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობისათვის მისაბაძი უნდა იყოს პოეტის მაგალითი, ვისთვისაც ყველაზე დიდი საფიცარი დედის სახელი იყო.

შალვა მარკოზაშვილი

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## პედაგოგის რჩევა

# შვილი პირველად მიდის სკოლაში...

თქვენი შვილი ექვსი წლის გახდა და მალე მოსამზადებელ კლასში წავა. სასკოლოდ მომზადება მშობლების წინაშე მთელ რიგ სერიოზულ ამოცანებს აყენებს. როგორ უნდა შევუდგეთ ამ ამოცანების გადაჭრას?

ექვსი წელი თავისთავად მეტად რთული ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ასაკია ადამიანის განვითარებაში. აქ თავს იყრის ისეთი საგულისხმო ძვრები, რომელთაც არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ბავშვის აღზრდისას. ამ პერიოდს დიდი ფსიქოლოგი დ. უზნაძე ბავშვის ტვინის ქერქის ფუნქციონალური განვითარების გამოცოცხლებას უწოდებს.

ამ დროს იწყებს ჩამოყალიბებას თავის ტვინის ნახევარსფეროების ასიმეტრია. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ფიზიკური და გონებრივი განვითარება. ბავშვში ილვიძებს კოლექტივიზმისა და პასუხისმგებლობის გრძნობა, ვითარდება მეხსიერება, ფანტაზია, აქტიური მოგონებისა და ხანგრძლივად დამახსოვრების უნარი. იზრდება ყურადღებისა და დაკვირვებულობის დონე. ყალიბდება აბსტრაგირების უნარი. აი, მოკლედ ის მთავარი ცვლილებები, რაც ექვსი წლის ბავშვში ხდება. რამდენ მზრუნველობასა და გულისხმიერებას მოითხოვს ბავშვი იმისათვის, რომ მისგან ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი და სრულყოფილი მოქალაქე ჩამოყალიბდეს!

სწავლის პროცესიც დიდად არის დამოკიდებული სწორედ ყველა უნარის განვითარებაზე, ბავშვის ფსიქიკურ მომწიფებაზე, მის ფიზიკურ, გონებრივ, მორალურ და ემოციურ მომზადებაზე.

უპირველეს ყოვლისა, ბავშვი ფიზიკურად ჯანმრთელი უნდა იყოს; დილის ვარჯიში, სწორი კვება, სუფთა ჰაერი, მოძრავი და გონებრივი თამაშების მონაცვლეობა — ერთი სიტყვით, კარგად შედგენილი დღის რეჟიმის დაცვა უნდა იქცეს ბავშვის ცხოვრების ნორმად, რომელსაც არ უნდა არღვევდეს არც ბავშვი და არც მშობელი.

ბავშვი თანდათან ეჩვევა მაგიდასთან გამართულ ჯდომას, ჭამის წინ ხელების დაბანას, კბილების მოვლას, მისთვის განკუთვნილი ულუფის გათავებას. ამის შესრულება ბავშვს მტკიცედ უნდა მოვთხოვოთ, რადგან ეს ყველაფერი მის ჯანმრთელობას განაპირობებს. ფიზიკურად ჯანმრთელი ბავშვი კი უფრო ადვილად სძლევს დიდ გონებრივ დატვირთვას, სწავლების პროცესს თან რომ სდევს.

სასკოლო ასაკის ბავშვში უნდა აღვზარდოთ პასუხისმგებლობის, ვალდებულების გრძნობა. ოჯახში მას რაღაც დავალება აუცილებლად უნდა ჰქონდეს, ცხადია, მისთვის შესაფერისი, რომლის სისტემატური შესრულება მოეთხოვება. მან უნდა იცოდეს, რომ უფროსები ამ საქმეში მისი იმედით არიან. იქნებ, პირველ ხანებში პატარამ ვერ შეძლოს დაკისრებული საქმის სრულყოფილად შესრულება, მით უმეტეს, ძნელია ბავშვისთვის ერთი და იმავე საქმის რეგულარულად შესრულება, მაგრამ მან უნდა იცოდეს, რომ მშობელი აუცილებლად შეუმოწმებს დავალების შესრულებას და შეუქებს ნახელავს.

საერთოდ, ბავშვის არავითარი საქმე არ უნდა დარჩეს თქვენი განსჯის გარეშე: „ეს კარგია, მოსაწონია, ყოჩაღ, აი, თურმე, რა შეგძლებია!" ან პირიქით: „უჰ, ეს კარგად ვერ გაგიკეთებია. ასე არ იქცევიან წესიერი ბავშვები. შენ რომ ასე მოგექცენ, მოგეწონება?" და სხვა.

დადებით შეფასებას უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს მოზარდისთვის, ის ბავშვს უბიძგებს კარგად მოიქცეს, რომ შემდეგშიც მოუწონონ საქციელი.

ბავშვს ხშირად უნდა ესმოდეს: „კარგი, კეთილი ადამიანი ასე არ იქცევა; აი, შენ ხომ მიეხმარები შენზე პატარას, შენს დაიკოს! შენც ხომ კარგი ხარ, კეთილი, ჭკვიანი!".

სასკოლოდ მომზადების პერიოდში ბავშვი უნდა შევაჩვიოთ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანას. ეს ფსიქოლოგიური უნარი საბოლოოდ სასკოლო ასაკში ჩამოყალიბდება, მაგრამ თუ ბავშვს ამ თვისებას პატარაობიდანვე თანდათან ჩამოვუყალიბებთ, ეს მას სიბეჯითეს გამოუმუშავებს.

ვთქვათ, თამაშის შემდეგ ბავშვს არ სურს სათამაშოების ალაგება. თქვენ, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ უბრძანოთ, რომ აალაგოს, მაგრამ ეს ხომ მისი ალაგებული აღარ იქნება! აბა, ვცადოთ და ამაში თამაშის, შეჯიბრების ელემენტი შევიტანოთ: ვინ უფრო სწრაფად აკრეფს სათამაშოებს, ვინ უფრო მეტს მოასწრებს?

სკოლამდელი ასაკის ბავშვთა მშობლები ხშირად კითხულობენ, თუ რა უნდა ასწავლონ ბავშვს ოჯახში.

უპირველეს ყოვლისა, ექვსი წლის ბავშვი ბგერების სწორად წარმოთქმას უნდა შევაჩვიოთ. ზღაპარს რომ წავუკითხავთ, ვთხოვოთ, რომ გადმოგვცეს შინაარსი. კითხვის პროცესში ბავშვის ყურადღება უნდა გავამახვილოთ მისთვის უცხო, ახალ სიტყვებზე — ასე ხდება ლექსიკური ფონდის გამდიდრება. უნდა ვასწავლოთ თვლა და მარტივი ანგარიში.

— აბა, ეს ენის გასატეხი მითხარი! ეს ლექსი ხომ მოგწონს? მოდი, ვისწავლოთ. აბა, „ან"-ზე ვინ მეტ სიტყვას მოიგონებს? აი, შენ ხელში სამი ფანქარი გიჭირავს. კიდევ ორი რომ მოგცე რამდენი გექნება? ერთი რომ წავილო? რამდენი თითი გაქვს მარჯვენა ხელზე? მარჯვენა ფეხზე? რომელი წიგნი უფრო დიდია? ახლა კარგად დააკვირდი ამ მაგიდას—რა და რა ნივთი დევს და რამდენი? მე აქედან რაღაცას ავიღებ და დავმალავ, ნეტავ, თუ მიხვდები, რას და რამდენს? და ასე შემდეგ.

ბავშვი მონდომებით ხატავს, ჭრის და აწებებს ფერად სურათებს, ძერწავს. უნდა ვეცადოთ, წავახალისოთ მისი ეს ლტოლვა.

რა თქმა უნდა, ბავშვის გონებრივი განვითარება გამუდმებით ხდება. გავიხსენოთ მისი უამრავი „როგორ?" და „რატომ?" მაგრამ, როცა ასეთ სამუშაოს მეცადინეობის სახე ეძლევა, მას აუცილებლად სისტემატური და რეგულარული ხასიათი უნდა მიეცეს. ბავშვს სამეცადინოდ უნდა ჰქონდეს გამოყოფილი დღეში 30 წუთი, ერთსა და იმავე დროს. მეცადინეობა ისე საინტერესოდ უნდა წარიმართოს, რომ იგი მოუთმენლად ელოდეს ამ დროს. ასეთი სისტემატური მუშაობა აჩვევს ბავშვს სიბეჯითეს, გულმოდგინებას, უღვიძებს ცოდნისაკენ ლტოლვას.

უნდა იცოდეს თუ არა სკოლამდელი ასაკის ბავშვმა ანბანი. წერა-კითხვა?

ვფიქრობთ, ეს არ არის აუცილებელი. ანბანი შეიძლება ბავშვს მაშინ ვასწავლოთ, როცა თვითონ არის მოწადინებული, ამავე დროს უნდა გვახსოვდეს, რომ გონებრივი შრომა დიდ დატვირთვასთან არის დაკავშირებული და უნდა გავფრთხილდეთ, რომ ბავშვი არ გადაიღალოს.

მშობელმა პატარას უნდა ჩაუნერგოს სკოლის სიყვარული. ბავშვი მოუთმენლად უნდა მოელოდეს პირველ სექტემბერს.

მოდა, სექტემბრის ზარიც მალე ჩამოჰკრავს და თქვენ დიდი სიხარული და მღელვარება გელით — თქვენი შვილი პირველად მიდის სკოლაში. თქვენი ოჯახისთვის ეს ზეიმია და ბავშვი აუცილებლად უნდა გრძნობდეს ამას.

და კიდევ ერთი რამ გვინდა გთხოვოთ: ყოველდღიურად შეეკითხეთ ბავშვს, რა იყო ახალი სკოლაში, რა ისწავლა ახალი, როგორ უპასუხა. ის უნდა გრძნობდეს, რომ ყველას — დედას, მამას, ბებიას თუ ბაბუას ძალიან აინტერესებთ მისი წარმატების ამბავი.

აი, ზოგიერთი რამ, რაც თქვენთვის გვინდოდა შეგვეხსენებინა.

ბედნიერ პირველ სექტემბერს გისურვებთ, მშობლებო!

ია მანჯგალაძე,
პედაგოგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბავშვის აღზრდის ზოგიერთი საკითხი

ბავშვი გარემოს დაახლოებით ერთი წლიდან ეცნობა. ამჟღავნებს მისწრაფებებს, რასაც ჩვეულებრივ ხასიათს უწოდებენ. მართალია, ეს თვისებები პირველ ხანებში მკრთალად ვლინდება, მაგრამ დროთა განმავლობაში ისინი ბავშვის ბუნების დამახასიათებელ თვისებებად იქცევა.

არ უნდა ავყვეთ ყალბ შეხედულებას, თითქოს ბავშვის ხასიათი მხოლოდ და მხოლოდ მემკვიდრეობითია. მის არსებაზე მეტწილად გარესამყარო მოქმედებს. „ჭიუტი" ბავშვი კი არ იბადება, არამედ ყალიბდება. ზოგიერთ ავადმყოფურ მოვლენას შეუძლია ბავშვში გამოიწვიოს უარყოფითი გამოვლინებები, მაგრამ სათანადო სამკურნალო თუ პედაგოგიური ჩარევით, შეიძლება ამ მდგომარეობის გამოსწორებაც. ამიტომაა საჭირო თავიდანვე თვალყურის დევნება.

ბავშვი ადრიდანვე უნდა მივაჩვიოთ დამოუკიდებელ აზროვნებას. როცა ბავშვი ცუდად იქცევა, აუცილებელია შთავაგონოთ, რომ მისი საქციელი უწესოა, უნდა გამოვუმუშაოთ ნებისყოფა და საზოგადოების პატივისცემა.

ბავშვის კულტურული აღზრდა ძირითადად უნდა ხდებოდეს ოჯახში, საბავშვო ბაღსა და სკოლაში. ბავშვი მიმბაძველია, ივი მოზრდილისაგან იძენს ცხოვრების ცოდნას, თავის დაჭერას, ამიტომ აღმზრდელებს დიდი ტაქტი მოეთხოვებათ.

მშობლებმა თავიდანვე უნდა მიაჩვიონ შვილები შრომას, საოჯახო საქმის კეთებას — ბინის დალაგებას, ტანსაცმლისა და სხვა ნივთების მოვლა-პატრონობას...

ზოგიერთი მშობელი მოურიდებლად იქცევა ოჯახში, ანგარიშს არ უწევს შვილებს, არ ითვალისწინებს, რომ ბავშვი საოცრად მგრძნობიარე და ეჭვიანია. უფროსი ადამიანის ცხოვრებაში არის ზოგიერთი ინტიმური მხარე, რომელიც სასურველი არაა გაიგოს ბავშვმა. ამასთან ბავშვი უნდა გრძნობდეს და ხედავდეს, რომ მშობლებს უყვართ ერთმანეთი, პატივისცემითა და კრძალვით ეპყრობიან ურთიერთს, არასოდეს არ მიმართავენ უხეში სიტყვებით, სერიოზულად ეკიდებიან ოჯახურ საქმეებს, ეხმარებიან ბავშვებს ცოდნის მიღებაში და მათი უფროსი მეგობრები არიან.

თუ მშობლებს შორის არ არის ასეთი თანხმობა, ძნელია შვილი გაიზარდოს საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანად.

ზოგიერთ მშობელს ჰგონია, რომ რაკი ბავშვმა დაიძინა, შეუძლიათ, როგორც მოეპრიანებათ, ისე მოიქცნენ, აქაოდა, ბავშვი დაღლილია და ვერაფერს გაიგებსო. ეს სწორი არ არის. ამიტომ მშობლებმა, თუკი ეს შესაძლებელია, ბავშვებისათვის ცალკე უნდა გამოყონ საძინებელი ოთახი. ამასთან, სასურველია 5-6 წლიდან ქალ-ვაჟები ცალკ-ცალკე ოთახებში იძინებდნენ, თუ ამის საშუალება არ არის, მათ საწოლებს შორის ფარდა უნდა დაიკიდოს. და-ძმა ბანაობის დროსაც არ უნდა ხედავდეს ერთმანეთს.

დაუშვებელია ისიც, რომ უწესრიგოდ იყოს ბინაში მიმოფანტული ტანსაცმელი და გამონაცვალი საცვლები. უხერხულია აგრეთვე დამხმარე სათავსოებში ბავშვების დასაბანად დავაწყოთ უფროსებისათვის საჭირო სხვადასხვა ნივთები, რომელთა ხმარებითაც შეიძლება ისინი დაინტერესდნენ.

განსაკუთრებული ყურადღება და ზედამხედველობა სჭირდება მოზარდს ე. წ. „სიყვარულის ასაკში". ამ პერიოდში მშობლებს დიდი სიფრთხილე მართებთ. მათ მიერ სიყვარულის „აკრძალვა" ხშირად ცუდ რეაქციას იწვევს; არც აშკარა და გამხელილი ლექციებია საჭირო ამ საკითხზე.

დაუფიქრებელი, მოუმზადებელი საუბარი მოზარდებთან დაუშვებელია. სკოლამ, მშობლებმა ახალგაზრდას წინასწარ უნდა განუმარტონ სპეტაკი, უანგარო სიყვარულის მნიშვნელობა და არ უნდა გააუხამსონ სიყვარულის მაღალზნეობრივი გრძნობა.

უმჯობესია, დროულად განვუმარტოთ ახალგაზრდას პირადი ცხოვრების ზოგიერთი ინტიმური მხარე, ის, რომ მის არსებაში მომხდარი ფიზიკური და ფიზიოლოგიური ცვლილებები ბუნებრივი და ჩვეულებრივია.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგებისა და მშობლების საუბრებს. მშობლებმა უნდა იცოდნენ, რის შესახებ და როგორ ილაპარაკონ შვილებთან.

ამ რამდენიმე წლის წინათ მოხდა ასეთი შემთხვევა: ორმა ძმამ (სხვადასხვა წლებში) მოიტაცეს გოგონები და ისევ მიატოვეს. ამას შემდეგმა გარემოებამ შეუწყო ხელი: ვიდრე ძმები ამ „ვაჟკაცურ" საქმეს ჩაიდენდნენ, მამამ საუბრის დროს მათ „საიდუმლოება" გაანდო: — მე რომ დედათქვენი მოვიტაცე, ზუსტად 16 წლისა ვიყავი, პირის პარსვა ახალი დაწყებული მქონდაო.

12-14 წლის ბიჭებს ჩარჩათ გულში მამის ნათქვამი და შემდეგ უღირსადაც მიბაძეს მას.

საჭიროა მშობლებმა მეტი ყურადღება მიაქციონ შვილების ყოველდღიურ ყოფა-ქცევას, მათ ჩაცმა-დახურვას.

ძალზე ვიწრო ტანსაცმელი ხელს უშლის ბავშვის თავისუფლად მოძრაობას, ორგანიზმის ნორმალურ ზრდა-განვითარებას. ამასთან ტანსაცმელი არ უნდა იყოს ძვირფასი ან გამომწვევი.

ზოგჯერ ახალგაზრდები სქესობრივი მომწიფების ხანაში იწყებენ პაპიროსის წევას, მაგარი სასმელის სმას, რაც ესოდენ დამღუპველია მათთვის, და რასაც ფხიზლად და განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა ვადევნოთ თვალ-ყური.

მართალია, არ არსებობს შვილის აღზრდის რაღაც ერთიანი უნიფიცირებული ფორმები, მაგრამ მაინც არის ბევრი დაუწერელი კანონი, რომელიც მშობლებმა მტკიცედ უნდა დაიცვან.

**ა. ხმალაძე,**
**საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებელი.**

## პედიატრიის ანბანი

**განყოფილებას ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი პროფესორი ირაკლი ფაღავა**

# ოლიგოფრენია

ოლიგოფრენია ბერძნულად გონებით ჩამორჩენილობას ნიშნავს. ამ კატეგორიას ისეთი ბავშვები მიეკუთვნებიან, რომელთაც სხვადასხვა მიზეზით, ადრე თუ გვიან, დაზიანებიათ ცენტრალური ნერვული სისტემა, კერძოდ, თავის ტვინის ქერქოვანი ნაწილი.

ოლიგოფრენია, როგორც ორგანული ხასიათის დეფექტი, უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის მთლიან პიროვნებაზე, იწვევს მისი განვითარების შეფერხებას. ამიტომ ეს ბავშვები საჭიროებენ სპეციალურ სასწავლო-სააღმზრდელო გამაჯანსაღებელ ღონისძიებათა გამოყენებას როგორც საოჯახო, ისე სასკოლო პირობებში.

ოლიგოფრენიას „გონებით ჩამორჩენილობას" უწოდებენ, მაგრამ არსებითად ბავშვი არამარტო გონებით ჩამორჩება, არამედ ჩამორჩება მთლიანი პიროვნება, მაგრამ ვინაიდან ადამიანის ქცევა-საქმიანობაში ძირითადად გონიერება თამაშობს მთავარ როლს, ამიტომ ოლიგოფრენებს გონებით ჩამორჩენილებს უწოდებენ. ზოგადი გონიერების თვალსაზრისით ოლიგოფრენიისათვის დამახასიათებელია ნიჭიერების დაბალი დონე.

საერთოდ, ნიჭიერების დონის მიხედვით ადამიანები შეიძლება პირობითად დავყოთ შემდეგ საფეხურებად: ნორმა, რომელიც წარმოადგენს ნიჭიერების საშუალო დონეს და რომელსაც მიეკუთვნება ადამიანთა ძირითადი ნაწილი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ აბსოლუტურად ნორმალური ადამიანი არ არსებობს. ნორმალურთა ანუ საშუალო კატეგორიას განეკუთვნება ადამიანთა ის უმრავლესობა, რომელნიც ხასიათდებიან საზოგადოებაში ტრადიციულად დადგენილ ქცევათა ნორმებით.

ნორმის ზევით პირველ საფეხურად შეიძლება მივიჩნიოთ ე. წ. ტალანტი, რომელიც მაღალ შემოქმედებით წარმატებას გულისხმობს მოღვაწეობის ამა თუ იმ დარგში.

ნიჭიერების მწვერვალს ე. წ. გენიოსობა წარმოადგენს. ეს საფეხური უფრო ზოგადი, ფართო დიაპაზონისაა და მაღალი დონის შემოქმედებითი აქტივობით ხასიათდება.

სამწუხაროდ, ასეთივე საფეხურები უნდა წარმოვიდგინოთ ნორმის ქვევითაც, რომელიც საერთოდ ცნობილია ოლიგოფრენთა ანუ გონებით ჩამორჩენილთა სახით. ესენი თავის მხრივ სამ ნაწილად იყოფიან: ნორმის ქვევით პირველ საფეხურს წარმოადგენს ოლიგოფრენიის ყველაზე იოლი ფორმა ე. წ. დებილი, რაც პირდაპირი გაგებით ნიშნავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სუსტს, უსუსურს; შემდეგ, ჩამორჩენილობის უფრო ღრმა ფორმას წარმოადგენს იმბეცილი — უძლური, უმწეო — დამოუკიდებელი ცხოვრების უნარს მოკლებული; გონებით ჩამორჩენილობის ყველაზე ღრმა და უკიდურეს ფორმას მიეკუთვნება ე. წ. იდიოტი — უმეცარი, უცნაური, რომელიც აბსოლუტურად მოკლებულია დამოუკიდებელი არსებობისა და ცხოვრების უნარს და განუწყვეტლივ საჭიროებს სხვის მეთვალყურეობას.

საინტერესოა ვიცოდეთ ოლიგოფრენიის წარმოშობის მიზეზები.

შესწავლის შედეგად დასტურდება, რომ ოლიგოფრენიის მემკვიდრეობითი წარმოშობა 5-10 პროცენტს არ აღემატება.

ოლიგოფრენიის წარმოშობაში განსაკუთრებით დიდ როლს თამაშობს სხვადასხვა სახის ინფექციური დაავადებანი, ტრავმული დაზიანებანი, სხვადასხვა ტოქსიკური მოვლენები, ცუდი საყოფაცხოვრებო და ჰიგიენური პირობები. ყველა ამ ფაქტორს შეუძლია მოახდინოს ბავშვზე უარყოფითი გავლენა როგორც უშუალოდ, ისე დედის მეშვეობით, ორსულობის პერიოდში.

არის შემთხვევა, როცა ბავშვის ცენტრალური ნერვული სისტემა ზიანდება ემბრიონალურ მდგომარეობაში დედის სხვადასხვა დაავადების (ტუბერკულოზი, სიფილისი და სხვ.) შედეგად. ასევე უარყოფით გავლენას ახდენს ნაყოფზე დედის არანორმალური კვება, ფიზიკურად გადატვირთვა, პრიმიტიული საშუალებებით მუცლის მოშლის უშედეგო ცდა, ორსულობის პერიოდში ღრმა სულიერი ტრავმები, რაც იწვევს ერთგვარ ბიოქიმიურ ცვლილებებს დედის ორგანიზმში და უქმნის მას დეპრესიულ მდგომარეობას, რაც შემდეგ ნაყოფის დაზიანებას იწვევს.

ქალი თავისი ბუნებით, საერთოდ, და განსაკუთრებით ორსულობის პერიოდში საჭიროებს მამაკაცის სათნო და გულისხმიერ დამოკიდებულებას, სათანადო ყურადღებასა და ხელისშეწყობას. მამაკაცის უტაქტობას, უხეშ, არაჰუმანურ დამოკიდებულებას მეტად მწვავედ განიცდის ორსული ქალი და ეს შეიძლება ბავშვში ოლიგოფრენიის წარმოშობის მიზეზი გახდეს.

ბავშვის ოლიგოფრენული მდგომარეობა შეიძლება გამოიწვიოს გართულებულმა მშობიარობამ, რეზუს შეუთავსებლობამ, ვადაგადაცილებულმა ორსულობამ, მძიმე ფორმის ნეფროპატიამ და სხვ.

ოლიგოფრენიის წარმოშობის მიზეზი შეიძლება გახდეს აგრეთვე ადრეულ ასაკში ბავშვის მიერ გადატანილი მძიმე დაავადებანი — მენინგიტი, ენცეფალიტი, ქუნთრუშა, ტიფი და სხვა. ზოგჯერ — ენდოკრინული სისტემის დაავადება, რომელსაც მჭიდრო კავშირი აქვს ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან და იწვევს ამ უკანასკნელის დაზიანებას და შემდეგ — ოლიგოფრენიას.

ოლიგოფრენიის წარმოშობისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ქორწინების ასაკს. როგორც ნაადრევ (სრულ მომწიფებამდე), ისე დაგვიანებულ ასაკში ქორწინება შეიძლება გახდეს მიზეზი ოლიგოფრენიის წარმოშობისა. მშობლების ალკოჰოლიზმი (განსაკუთრებით, სქესობრივი ცხოვრების დროს) და მძიმე ვენერიული დაავადებანი დიდად უწყობს ხელს ოლიგოფრენიის წარმოშობას.

ოლიგოფრენ ბავშვის აღზრდა-განვითარებისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რით არის გამოწვეული დაავადება. ბავშვის ოლიგოფრენული მდგომარეობა, როდის და რამდენად მძიმე ფორმებში მოხდა ცენტრალური ნერვული სისტემის დაზიანება.

ოლიგოფრენიის შემცირება დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჩვენს ქვეყანაში მრავალი გამაჯანსაღებელ-პროფილაქტიკური ღონისძიებები ტარდება ოლიგოფრენიის წარმოშობის თავიდან ასაცილებლად. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ორსული ქალების საყოფაცხოვრებო პირობებს, შექმნილია საკონსულტაციო პუნქტები, გამოდის სპეციალური ლიტერატურა ორსულობის პერიოდში ქალთა ჰიგიენურ-საყოფაცხოვრებო რეჟიმის დაცვის მნიშვნელობის შესახებ. ორსული ქალი სარგებლობს ხანგრძლივი დეკრეტული შეღავათებით; განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშობიარობის პროცესის ნორმალურად ჩატარებას. ამ მიზნით შექმნილია სამეანო-გინეკოლოგიური კლინიკები და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, პედიატრიის ინსტიტუტები, განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს რესპუბლიკური სამეანო-გინეკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის მიღწევები, რომლებმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვეს. ეს მიღწევები დაინერგა როგორც ჩვენში, ისე უცხოეთის კლინიკებში.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ოლიგოფრენ ბავშვთა აღზრდის საქმეს, მათთვის შექმნილია სპეციალური ტიპის კეთილმოწყობილი დამხმარე სკოლა-ინტერნატები, სადაც პედაგოგიურ პერსონალს ხელფასი 25 პროცენტით მეტი ეძლევა, ვიდრე მასობრივი სკოლების მასწავლებლებს.

მაგრამ ზოგიერთი მშობელი თაკილობს და თავს არიდებს ოლიგოფრენ ბავშვთათვის განკუთვნილ სკოლას, ბავშვი შეჰყავს მასობრივ სკოლაში და მოითხოვს იქ დარჩეს ბოლომდე, რითაც თვითონვე ხელოვნურად უხშობს გზას ბავშვს მიიღოს სათანადო აღზრდა-განათლება მისი რეალური შესაძლებლობის კვალობაზე. სამწუხაროდ, მასობრივი სკოლის ზოგი მუშაკი ხელს უწყობს მშობლის არასწორ ორიენტაციას და მანამდე აჩერებს ოლიგოფრენ ბავშვს მასობრივ სკოლაში, ვიდრე იგი სკოლიდან განთესვის კანდიდატი არ გახდება.

ოლიგოფრენიის წარმოშობის წინააღმდეგ ბრძოლა ერის ღირსების საქმეა და ამიტომ აუცილებელია გამოვიყენოთ ყველა პროფილაქტიკური საშუალება მის ასაცილებლად.

**გ. ნიკოლაიშვილი,**
**პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.**

# კულინარია

### „ბორანი"

10-15 ცალი კვერცხი კარგად ავთქვიფოთ, 500 გრ იმერული ყველი დავფშვნათ, მივუმატოთ ერთი სუფრის კოვზი სიმინდის ფქვილი, მარილი და ავურიოთ ერთმანეთში. თავსახურიან თუჯის ტაფაზე გავადნოთ 200 გრამი კარაქი, კარგად გავაწითლოთ, მერე შემზადებული მასალა დავასხათ, ავურიოთ, ტაფას თავი დავხუროთ და შევდგათ ნელ ცეცხლზე. 15-20 წუთში მზა ბორანი სუფრაზე მივიტანოთ.

### „კაიმაღი"

10-15 ლიტრი რძე გავაცხელოთ, დავასხათ რაც შეიძლება ფართო და ღრმა მომინანქრებულ თასზე და ცივ ადგილას შევინახოთ 12 საათის განმავლობაში. შემდეგ მოვხადოთ ნაღები, დავასხათ თეფშზე და შიგ ჩავყაროთ დაფშვნილი იმერული ყველი (200 გრ ნაღებზე 100 გრ იმერული ყველი).

### კეჟერა ფხალის ფოთოლში გახვეული ტოლმა

კეჟერა ფხალის ფოთლები მოვწალოთ. 1 კგ მსუქანი საქონლის ხორცი დავკეპოთ, დავუმატოთ 300 გრ ბრინჯი, 300 გრ წვრილად დაჭრილი ხახვი, 100 გრ ოხრახუში, 100 გრ ტომატი პასტა, ან ნედლი პამიდორი, 50 გრ ნიორი, მარილი, წითელი წიწაკა, შავი პილპილი (გემოვნებით. კარგი იქნება თუ დავუმატებთ ცოტაოდენ პრასას). ყველაფერი ეს ავურიოთ ერთმანეთში, შემდეგ 10-15 წუთით მოვშუშოთ ქვაბში კარაქთან და ცოტაოდენ ტომატთან ერთად. მზა ფარში პატარა გუნდებად გავახვიოთ კეჟერა ფხალის ფოთოლში, დავასხათ 4 ჭიქა მდუღარე წყალი, შევდგათ ნელ ცეცხლზე და მოვხარშოთ.

### „იახნი"

2 კგ მსუქანი საქონლის ხორცი დავჭრათ, გავრეცხოთ, ჩავყაროთ ქვაბში, დავასხათ 4 ლიტრი თბილი წყალი. ადუღებისას რამდენჯერმე მოვხადოთ ქაფი. ხორცი რომ შერბილდება, ქვაბში ჩავუმატოთ წვრილად დაჭრილი 1 კგ ხახვი, 400 გრ დანაყილი ნიგოზი და ხმელი ზაფრანა. ცალკე ტაფაზე 300 გრ მარგარინში მოვშუშოთ 500 გრ ხახვი, ცოტაოდენი დაფქვილი ზაფრანა და ხორცს ჩავუმატოთ მოხარშვის შემდეგ. ასევე ცალკე ტაფაზე მოვშუშოთ 100 გრ მჟავის ფქვილი და ესეც ჩავუმატოთ. კერძი რომ გაშზადდება და ქვაბს ცეცხლიდან გადმოვდგამთ, დავუმატოთ 100 გრ დანაყილი ნიორი, მარილი და ზევიდან მოვაყაროთ დაფქვილი ხმელი ქინძი, შავი პილპილი და წითელი წიწაკა.

იახნი სუფრაზე ცხლად უნდა მივიტანოთ.

**მერი მერულიძე,**
**ქობულეთი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიერდ მიკეში

# ლომები სახლიდან მიდიან...

„აჰა, — გაიფიქრა ქმარმა, — ისევ გამომიწვია! არადა, რამდენჯერ დავიფიცე, რომ სახლში არაფერს მოვყვებოდი! სულ ერთია, მაინც არ მისმენს... მკითხავს, რა არის ახალიო, და — როგორც ლაპარაკს დავიწყებ, დგება და სამზარეულოში გადის... იკითხავს: რა აზრისა ვარ რაიმეზე, მაგრამ თვალებზე ვატყობ, ფიქრით სხვაგან დაფრინავს... რა თქმა უნდა, სანამ ვითხოვდი, ყველაფერი სხვანაირად იყო, ის ჩემს ყოველ სიტყვას გატაცებით ისმენდა, ყველაფერი აინტერესებდა, რაც არ უნდა მეთქვა. მაგრამ ახლა!..."

— აბა, — ჰკითხა ცოლმა, თან ოთახებში გადი-გამოდიოდა, — რატომ გაჩუმდი?

— შენ, საერთოდ, გაინტერესებს რას ვლაპარაკობ?

— რა თქმა უნდა, მაინტერესებს, — უთხრა ცოლმა და ოთახიდან გავიდა. მცირეოდენი ხნის შემდეგ ის დაბრუნდა, რომ საფერფლე გადმოეფერთხა.

— ჰოდა, — ნერვიულად წარმოთქვა ქმარმა. — ოთხ საათზე ლომები სახლიდან მიდიან...

ცოლმა უხმოდ გაასწორა სუფრა.

— მე ვამბობ, ოთხ საათზე ლომები სახლიდან მიდიან-მეთქი...

არავითარი შთაბეჭდილება.

— მაგრამ მხოლოდ ორშაბათობით, სამშაბათობით და პარასკევობით... მითხარი, მისმენ?

— გისმენ, — უპასუხა ცოლმა და ოთახიდან გავიდა.

ქმარი სიბრაზისგან ტუჩებს იკვნეტდა. „ნამდვილად დაუჯერებელია! ფანტასტიკაა! მე შემიძლია ყველაფერი ვთქვა, რაც კი ენაზე მომადგება!.. განა შეიძლება ასე ცხოვრება?.. არა, ასე ცხოვრება შეუძლებელია!"

— მერე, — გამოსძახა ცოლმა სამზარეულოდან — რატომ არ აგრძელებ?

— მე ვთქვი, რომ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს ლომები სახლიდან ოთხ საათზე გამოდიან-მეთქი. დანარჩენ დღეებში კი მათ ბინაზე უნგრული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი აკითხავთ, მისმენ?

— ნუ მეკითხები წამდაუწუმ, გისმენ თუ არა. რა თქმა უნდა, გისმენ.

„ჩემს ბედს დაუდგა თვალი! ცოლი მყავს, მაგრამ მაინც მარტო ვარ".

— ჰო, მერე?

— მასწავლებელი ბუდაპეშტში დაიბადა, მაგრამ შესანიშნავად ლაპარაკობს უნგრულად. ცხადია, პატარა აქცენტით. სიტყვა „დანას" ის გამოთქვამს, როგორც „ჩანგალს". გაიგონე?

— გავიგონე, — ისმის საიდანღაც, ბინის სიღრმიდან ცოლის ხმა. — მესმის, აბა რა, ყრუ კი არა ვარ.

„აჰა, განქორწინების საბაბი. თუ ეს არ არის საბაბი განქორწინებისთვის, მაშინ მე საერთოდ არ მესმის, რა შეიძლება საბაბი იყოს!

— მერე?

აკანკალებული ხელით ქმარი სიგარეტს იღებს და ცეცხლს უკიდებს, აბოლებს, მერე თვალებს ხუჭავს. იმავე წამში თვალწინ წარმოუდგება, როგორ დგას მოსამართლის წინ განქორწინების პროცესზე. ხნიერი მოსამართლე ცრემლად იღვრება, როცა მის გამწარებულ სვეს ისმენს. მერე მოსამართლე ცრემლებს იშრობს და ეუბნება:

„თქვენ მართალი ხართ, ჩემო ძვირფასო, ამ ქალთან ცხოვრება რომ აღარ გინდათ, მე მესმის თქვენი, ჩემო ძვირფასო..."

— მერე? — ყვირის ცოლი.

— რა მერე?

— მერე რა მოხდა?

— მერე ის მოხდა, რომ, — ამბობს დაბოღმილი ქმარი, — მასწავლებელი მარტო ლომებს ასწავლის. სელაპებს კი არა, რადგან ცურვა არ იცის... გესმის?

— მესმის.

„დახე, მესმისო. ჩემი ძვირფასი პატარა ცოლიკო მისმენს. ჩემი ძვირფასი პატარა ცოლიკო — მთლად ყურადღებაა... უჰ, ახლა კი გადავირევი!"

— მერე?

— არავითარი მერე! — ღრიალებს პირზე დუჟმორეული ქმარი. — არავითარი მერე!

— შენ კი გასკდი! — უსურვებს ცოლი. — ბოლომდე რომ ვერაფერს მოყვები...

გარეკანის პირველ გვერდზე — ქსენია სიხარულიძის პორტრეტი, მხატვარი ეკატერინე ბაღდავაძე. მეოთხე გვერდზე — ქართული ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი იამზე დოლაბერიძე. ფერადი ფოტო დ. იაკობაშვილისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 21/VI წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/VII — 71 წ. ქაღალდის ზომა 60×90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123.260. შეკვ. 2284 უე 03841 ფასი 80 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ლუი არმსტრონგი—მსახიობი და მუსიკოსი

გარდაიცვალა ლუი არმსტრონგი. ჩვენთვის, ადამიანებისათვის, ვინაც მთელი ჩვენი ცხოვრება ეგრეთწოდებულ მსუბუქ მუსიკას ვუძღვენით, ცნობა მისი სიკვდილის შესახებ დიდად სამწუხარო მოვლენაა. ლუი არმსტრონგი არ იყო მარტო მსახიობი ან მუსიკოსი. ის იყო პირველი გზის გამკვლევი ჯაზური მუსიკოსების მთელი თაობებისა. ცხოვრობდა უდიდესი მონაცემების მქონე ადამიანი, რომელსაც უყვარდა სიცოცხლე, მუსიკა და ეთაყვანებოდა თავის ხალხს. მან საკუთარი მაგალითით დაამტკიცა, რომ შემოქმედებაში კანის ფერი არავითარ როლს არ თამაშობს. ლუი არმსტრონგი აღარ არის. მაგრამ ის, რაც მან გააკეთა იცოცხლებს მანამ, სანამ იარსებებს ჯაზური მუსიკა. მე კი მჯერა, რომ ასეთი მუსიკა მუდამ იარსებებს, რადგანაც იგი მაინც მუსიკაა, მიუხედავად ყოველგვარი მითქმა-მოთქმისა.

ლეონიდ უტიუსოვი

б 61/150



ИНДЕКС 76178